პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
8
ივლისი
1937 წ.
№ 154 (4955)

ფაშიზმი—ეს ომია. სოციალიზმი—ეს მშვიდობიანობაა. სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხით [illegible] ჩვენი გმირული ქვეყანა მშვიდობიანობის კიდევ უფრო მძლავრ ბურჯად!

სასწავლო წელი

ჩვენმა სკოლებმა დაამთავრეს სასწავლო წელი. როგორც წინასწარი შედეგები გვიჩვენებს, მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული სკოლის მუშაობის ყველა დარგში. ამაღლდა სწავლების ხარისხი, მოწაფეთა მომზადების დონე, გაუმჯობესდა პედაგოგიური პროცესი, შეგნებული დისციპლინა, შემცირდა ორწლიანობა, შარშანდელთან შედარებით უკეთესია საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ხარისხი. თბილისის სკოლების მოწაფეთა აბსოლუტური წარმატება 90 პროცენტს აღემატება, ფრიადოსან მოსწავლეთა რიცხვმა 9 ათასს გადააჭარბა, ყველა საგანში პროგრამები ძირითადად ამოწურულია.

ამ წარმატებების მიუხედავად, ჩვენი სკოლების მუშაობას კვლავ მრავალი არსებითი ნაკლი ახასიათებს. მათ გამოსასწორებლად ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან განათლების ორგანოები, სკოლები, მასწავლებლები. რაც მთავარია, აღმოფხვრილი არ არის სკოლის „ძირითადი ნაკლი", რომლის შესახებაც გარკვევით მიუთითებდა განათლების ორგანოებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტი. აქაიქ კიდევ ვხვდებით პედაგოგიურ დამახინჯებებს. ყველა საგანსა და კლასში ჯერ კიდევ არა გვაქვს სავსებით გამართული, სტაბილური პროგრამები და სახელმძღვანელოები.

თბილისის სკოლებში, სადაც სწავლების ყველაზე საუკეთესო პირობებია შექმნილი, საშემოდგომო გამოცდები 5.084 მოწაფეს დაენიშნა. ეს რიცხვი, მართალია, შარშანდელთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ მაინც ამჟღავნებს სკოლის მუშაობის ცუდად დაყენებას და წარმოადგენს იმ ყოვლისშემძლე „საშუალოს" სამწუხარო შედეგს, რომლის იქით იკარგებოდა ცოცხალი ადამიანი, მოწაფე.

ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ლენინი დედაენის შესწავლას. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში არსებით ნაკლოვანებებს ვხედავთ. საკმაოდ არაა ფესვგადგმული მხატვრული ლიტერატურის ტრადიციული სოციოლოგიური სქემებით სწავლება. ამ გარემოებას, მასწავლებელთა ერთი ნაწილის ცუდ მომზადებასთან ერთად, ხელს უწყობს განსახკომის პროგრამები, რომლებშიც საკმაოდ არის შეცდომები. ამ პროგრამებით ნაკლები ადგილი ეთმობა მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტის შესწავლას, მის კრიტიკულ განხილვას, მწერლის მხატვრული ხერხებისა და სტილის ანალიზს, არასავსებით ხორციელდება კლასიკური მემკვიდრეობის ათვისების ლენინური თეორია, განსაკუთრებით კოჭლობს მოწაფეთა წერითი მეტყველების კულტურა.

„სკოლის კვდომის" მემარჯვენე-„მემარცხენე" „თეორეტიკოსებმა" გეოგრაფია მიმზიდველ, საინტერესო საგნიდან შინაარსგამოცლილ სტატისტიკურ - ეკონომიურ მასალათა გროვად აქციეს, გეოგრაფიას „მეურნეთმცოდნეობითი" განხრა მისცეს, რუკა განდევნეს. გეოგრაფიის სწავლებაც წელს დიდად გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც არ არის სათანადო დონეზე აყვანილი. მოწაფეები ვერ ერკვევიან გეოგრაფიულ ცნებებსა და ტერმინებში, რუკას შეგნებულად ვერ იყენებენ. ამ საგნის მასწავლებლებსაც არა აქვთ სათანადო ცოდნა და მომზადება. მაგალითად, თბილისის მე-59 და მე-98 სკოლების მასწავლებლების მ. ქუთათელაძისა და კალანდარაშვილის მიერ მოწაფეთათვის მიცემული კითხვები მოწმობს, რომ მათ ეს საგანი არ იციან. დღემდე არა გვაქვს გეოგრაფიის რიგიანად შედგენილი სახელმძღვანელოები. არსებულ სახელმძღვანელოებში საკმაოდ მოიპოვება ფაქტიური შეცდომები, ენა მშრალია და მოწაფეთათვის გაუგებარი, ნათარგმნიც ცუდად არის შესრულებული. განსახკომს ჰმართებს, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად მოჰკიდოს ხელი გეოგრაფიის სწავლების ნორმალურად დაყენებას.

არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ხალხის მტრები — ტროცკისტ-ფაშისტი არამზადები ამ გარემოებით სარგებლობდნენ და ცდილობდნენ თავიანთი წაბილწული ხელები ეფათურებინათ ნორჩი თაობის აღზრდის დარგში. განათლების ორგანოების მუშაკთა ერთი ნაწილის რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების შედეგად სკოლებს დიდხანს სათავეში ედგნენ სამგზის საზიზღარი, ობერ-ჯალათ ტროცკის ნაბოლარები: ანა ბრეიტმანი, არუტამიანი, არაქელიანი, ჯიჯეიშვილი და სხვ. მათი გავლენის ქვეშ ექცეოდა მოწაფეთა ნაწილი, რომელიც ხულიგნობითა და ნამდვილი დეზორგანიზატორობით ამჟღავნებდა ამ გავლენას.

მთლად მივიწყებულ უბანს წარმოადგენს მოწაფეთა ანტირელიგიური აღზრდა. ჩვენი სკოლებიდან და მასწავლებელთა ერთი ნაწილის შეგნებიდან ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ აღმოფხვრილი ხალხის მტრების ინსტრუქციის, მარ. ორახელაშვილის და „მათთა ძმათა" ეგრეთწოდებული „ურელიგიო აღზრდის" დამპალი და ყოვლად უბადრუკი, ანტილენინური თეორია. ყველა საგნის და განსაკუთრებით ბუნებისმეტყველების, ქიმიის, ბიოლოგიის და ისტორიის მასწავლებლები თავიანთ მოვალეობად არ სთვლიან მისცენ მოწაფეებს სწორი მეცნიერული ცნობები რელიგიის მავნებლობის შესახებ. უმოქმედობას იჩენს ულმერთოთა კავშირიც. ამ დროს არ სძინავთ „ღვთის მსახურებს", ისინი ცდილობენ თავის გავლენის ქვეშ მოაქციონ ახალგაზრდობის ერთი ნაწილი და ამით თავიანთი ბნელი საქმეები მოაჰხრაკონ. სკოლებმა მათ ცდას მოფიქრებული, გეგმიანი, ყოველდღიური მეცნიერული მუშაობა და დაუღალავი ანტირელიგიური პროპაგანდა უნდა დაუპირდაპირონ.

სახალხო განათლების ორგანოების მუშაობაში საკმაოდ არ არის დანერგილი ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა, ადგილი აქვს უდარდელობას, არწყენინების და ნაგვის გარეთ გატანის უსურველობის მავნე განწყობილებას. ამის გამო მრავალი ნაკლი გამოუვლინებლად და უყურადღებოდ რჩება. ეს გარემოება აფერხებს ჩვენი საბჭოთა სკოლის საბოლოოდ გაჯანსაღებას, მისი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

ვერც განსახკომმა და ვერც სახალხო განათლების რაიონულმა განყოფილებებმა ჯერჯერობით ისე ვერ გარდაჰქმნეს თავისი მუშაობა, რომ ცოცხალი, მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ სკოლებთან, იცნობდნენ ამა თუ იმ სკოლის ნაკლოვანებებს, დროზე ეხმარებოდნენ აქტუალური საკითხების მოგვარებაში, კონკრეტულ ხელმძღვანელობას უწევდნენ მათ.

ამისათვის საჭიროა განსახკომისა და განათლების განყოფილებათა პასუხისმგებელი მუშაკები, ინსტრუქტორ - მეთოდისტები კანცელარიებიდან სკოლებში მივიდნენ, თავიანთი სამუშაო დროის მეტი ნაწილი მასწავლებლების, სკოლის მუშაკების დახმარებას მოანდომონ.

სსრ კავშირის VII მოწვევის ცაკის მე-4 სესიის გახსნა

მოსკოვი, 7 ივლისი (საქდესი). 7 ივლისს, 19 საათსა და 15 წუთზე მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა სსრ კავშირის VII მოწვევის ცაკის მე-4 სესია. სესიის დღის წესრიგში დგას — „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტი.

სხდომის დარბაზი გაჭედილია სტუმრებით — მოსკოვის მრავალი საწარმოს სტახანოველებით, დედაქალაქის მშრომელთა ყველა ფენის წარმომადგენლებით. ესწრება დიპლომატიური კორპუსი.

აღფრთოვანებით, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან სსრ კავშირის ცაკის წევრები და სტუმრები პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების ამხანაგების **სტალინის, მოლოტოვის, კალინინის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის, ანდრეევის, მიქოიანის, ჩუბარის, კოსიორის, ჟდანოვის და ეჟოვის** გამოჩენას პრეზიდიუმში.

სესია გაიხსნა ამხ. **მ. ი. კალინინის** შესავალი სიტყვით.

შემდეგ მიღებულ იქნა სესიის მუშაობის წესი. გადაწყდა მოხსენება მოსმენილ იქნას კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომაზე, კამათი გაიმართოს პალატების მიხედვით ცალ-ცალკე.

არჩევნების დებულების პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ი. ა. იაკოვლევი**.

◇ ◇ ◇

მოსკოვში ჩამოდის შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი სანდლერი

სტოკჰოლმი, 7 ივლისი (საქდესი). პრესის გადმოცემით, შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრი სანდლერი 8 ივლისს თვითმფრინავით გაფრინდება მოსკოვს ოფიციალური დარბაზობისათვის. სანდლერს თან ახლავან საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი გიუნტერი და სხვ.

◇ ◇ ◇

პირველი ორმხრივი ტრანსატლანტიური გადაფრენა

ლონდონი, 6 ივლისი. (საქდესი). 5 ივლისს, 19 საათსა და 50 წუთზე, ინგლისის მფრინავმა ნავმა „კალედონიამ" მოახდინა პირველი საცდელი გაფრენა ფოინსიდან (ირლანდია) ბოტვუდისაკენ (ნიუ-ფაუნდლენდი) ატლანტის ოკეანის ჩრდილო ნაწილზე გავლით.

ნიუ-იორკი, 6 ივლისი. (საქდესი). ამერიკის მფრინავი ნავი „სიკორსკი „42-ბ" 5 ივლისს, 17 საათსა და 11 წუთზე ნიუ-იორკის დროით, გაფრინდა ბოტვუდიდან (ნიუ-ფაუნდლენდი) ფოინსისაკენ (ირლანდია).

მოსკოვის პარტიული აქტივი

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს — ამხანაგ სტალინს

ბოლშევიკების მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივი, რომელიც შეიკრიბა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგთა განსახილველად, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, პარტიისა და ჩვენი ხალხის საყვარელ ბელადს.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტი", მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ,—ეს განსაკუთრებული მნიშვნელობის დოკუმენტია, რომლის თვითეული თავი, მუხლი, სტრიქონი გამსჭვალულია იმ დიადი სოციალისტური კონსტიტუციის სულისკვეთებით, რომლის შემოქმედი ხართ თქვენ ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

უზენაესი საბჭოს მომავალი არჩევნები იქნება სერიოზული გამოცდა ყველა ბოლშევიკისათვის, ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის, რომელნიც ვალდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებულ მობრუნებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოსკოვის ორგანიზაციის ბოლშევიკები სიტყვას გაძლევენ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ ისინი მთელი პარტიული პასუხისმგებლობით მოემზადებიან ამ სერიოზული გამოცდისათვის, ღირსეულად დაიჭერენ მას და არ დაუშვებენ ხალხის მტრების შეპარვას საბჭოთა ორგანოებში.

მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია მთელ ძალღონეს იხმარს, რათა თავისი პრაქტიკული მუშაობით უზრუნველჰყოს უყოყმანო და ზუსტი შესრულება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა სოციალისტური საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების შესახებ. მოსკოვის პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ახსოვს თქვენი მითითებანი, ამხანაგო სტალინ, ქალაქის წამყვანი როლის შესახებ, აქტიურად დაეხმარება ოლქის ბოლშევიკებს გადასჭრან ცენტრალური კომიტეტის მიერ დასმული ამოცანა—ხარისხობრივად გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება, შეიქმნას მოსავლიანობის სწრაფი გადიდებისათვის აუცილებელი პირობები.

პარტიული აქტივი გარწმუნებთ თქვენ, ამხანაგო სტალინ, რომ მოსკოვის ბოლშევიკები შეასრულებენ თქვენს მითითებებს სამიწათმოქმედო ორგანოების განმტკიცებაზე შემოწმებული კადრებით და მოსპობენ კონტრრევოლუციონერ მავნებელთა საზიზღარი ძირგამომთხრელი მუშაობის შედეგებს, რომელთაც მოასწრეს ზიანი მიეყენებინათ ჩვენი მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობისათვის.

იზრდებიან და მრავლდებიან სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებანი და ძლიერება. მაგრამ ეს ჩვენ ვერ დაგვამშვიდებს, ვერ მოადუნებს ჩვენს თვალმახვილობასა და სიფხიზლეს.

ჩვენ, ამხანაგო სტალინ, ვიქნებით ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის ერთგული გუშაგები!

გაუმარჯოს ჩვენს ლენინ-სტალინის მძლავრ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ ბელადსა და მასწავლებელს ჩვენს დიდ სტალინს!

მდგომარეობა ესპანეთში

ესპანეთის ფრონტებზე

(საქ. დეპეშათა სააგენტოს ცნობებით პარიზიდან)

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული ცნობის თანახმად, რომელიც „ესპანის" სააგენტოს მიერ ტელეგრაფით გადმოცემულია ვალენსიიდან 6 ივლისს, 15 საათსა და 30 წუთზე, ესპანეთის ფრონტებზე შემდეგი მდგომარეობაა:

ცენტრალური ფრონტი

მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს რესპუბლიკელთა ჯარების პოზიციებზე ლა კალვასთან, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. 5 ივლისს დილით რესპუბლიკის ჯარებმა იერიში მიიტანეს სესენაზე და დაიკავეს კასა დე ლმახუელო. არავაკის რაიონში რესპუბლიკელებმა დაიკავეს სანგრების ხაზი და ხელთ იგდეს მეამბოხეთა სამხედრო საჭურველის მნიშვნელოვანი მარაგი.

კოგოლუდოს სექტორში, გვადალახარის ჩრდილოეთით, რესპუბლიკის ჯარებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი პოზიციები.

რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა სამხედრო ობიექტებს ტალავერის, ბრუნეტის, სიერა გვადარამის მიდამოებში, ავილას პროვინციაში, აგრეთვე მეამბოხეთა დაჯგუფებებს სეგოვიიდან ლა გრანხაში და სეგოვიიდან რევენგაში მიმავალ გზებზე.

აღმოსავლეთის ფრონტი.

რესპუბლიკელთა საზენიტო ბატარეებმა უკუაქციეს მეამბოხეთა ავიაცია, რომელიც შეეცადა თავდასხმა მოეხდინა რესპუბლიკის ჯარების პოზიციებზე.

ჩრდილოეთის ფრონტი

ბისკაის უბანში რესპუბლიკის ჯარებმა იერიში მიიტანეს მეამბოხეთა პოზიციაზე მელიის მთასთან და 2 კილომეტრით წინ წაიწიეს.

სანტანდერის უბანში მეამბოხეები, რომლებმაც არაერთხელ სცადეს რესპუბლიკის ჯარებზე იერიშის მიტანა, უკუაქციეს. რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთა პოზიციებს ბარუელო დე სანდულიანთან.

რესპუბლიკურმა ჯარებმა დაიკავეს ვილიანუევა დე ლა კანიადა

პარიზი, 7 ივლისი (საქდესი). ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ცნობაში, რომელიც 6 ივლისს 24 საათზე გამოქვეყნდა, ნათქვამია:

„რესპუბლიკურმა ჯარებმა ღამით ბრწყინვალე იერიშის შედეგად დაიკავეს ვილიანუევა დე ლა კანიადა (მადრიდის დასავლეთით 24 კილომეტრის მანძილზე)".

მეამბოხე ფაშისტებმა ხელთ იგდეს საფრანგეთის გემი

პარიზი, 5 ივლისი (საქდესი). გამოქვეყნდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ საფრანგეთის გემი „ტრეგასტელი" გუშინ სანტანდერის მახლობლად დააკავა მეამბოხეთა კრეისერმა „ალმირანტე სერვერამ". საფრანგეთის გემი, შემთხვევის ადგილას მყოფი სამხედრო გემების მეთაურთა ჩვენებით, გაჩერებულ იქნა ნაპირიდან 3 მილის დაშორებით. „ტრეგასტელი" მეამბოხეებმა წაიყვანეს ბილბაოში.

ფაშისტური ავიაციის თავდასხმა ვალენსიის მიდამოებზე

ლონდონი, 5 ივლისი. (საქდესი). ესპანელ მეამბოხეთა ესკადრილია, რომელიც დღეს დილით ცდილობდა ყუმბარები დაეშინა ვალენსიისათვის, შესდგებოდა ბალეარის კუნძულებიდან გაფრენილი 6 ჰიდროთვითმფრინავისაგან. საზენიტო ქვემეხებმა ფაშისტთა თვითმფრინავები განდევნეს ქალაქიდან. გადმოჰყარეს რა ვალენსიის მიდამოებში 80-ზე მეტი ყუმბარა, რომელთაგან ზოგიერთი 225 კილოგრამს იწონიდა, თვითმფრინავები სწრაფად მიიმალენ ბალეარის კუნძულების მიმართულებით. თავდასხმის შედეგად მოკლულია 2 კაცი და დაჭრილი რამდენიმე.

◇

„კალედონია" დაეშვა ბოტვუდში

ლონდონი, 6 ივლისი. (საქდესი). ინგლისის მფრინავი ნავი „კალედონია" დღეს, 6 საათსა და 06 წუთზე ადგილობრივი დროით, დაეშვა ბოტვუდში (ნიუ-ფაუნდლენდი). ატლანტის ოკეანე მან გადაიფრინა 15 საათისა და 9 წუთის განმავლობაში.

◇

„სიკორსკი 42-ბ" დაეშვა ფოინსში

ლონდონი, 6 ივლისი. (საქდესი). ამერიკის მფრინავი ნავი „სიკორსკი 42-ბ" დღეს, 10 საათსა და 50 წუთზე (ლონდონის დროით), დაეშვა ფოინსში (ირლანდია), მოახდინა რა გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე 12 საათსა და 40 წუთში.

◇

„კალედონია" და „სიკორსკი" ერთმანეთს შეხვდნენ ატლანტის ოკეანეში

ლონდონი, 6 ივლისი. (საქდესი). ინგლისის მფრინავი ნავი „კალედონია" და ამერიკის მფრინავი ნავი „სიკორსკი 42-ბ" დღეს დილით ადრე ერთმანეთს შეხვდნენ შუაგზაზე ატლანტის ოკეანეში. თუმცა მათ ერთმანეთისაგან მნიშვნელოვანი მანძილი ჰყოფდა, ისინი მაინც რადიოთი მიესალმნენ ერთმანეთს და მიაწოდეს ცნობები ამინდის შესახებ.

მწერალთა მეორე საერთაშორისო კონგრესი

ვალენსია, 5 ივლისი (საქდესი). გუშინ მწერალთა მეორე საერთაშორისო კონგრესის დღის სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ჟიულენ ბენდა. ესპანეთის დელეგაციის წინადადებით, კონგრესმა დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ყველა მწერალს, რომელნიც კი იბრძვიან ესპანეთის სახალხო არმიის რიგებში.

დიდი სიტყვით გამოვიდა ესპანეთის დელეგაციის თავმჯდომარე ხოსე ბერგამინი.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ალექსი ტოლსტოიმ. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდად არის აყვავებული ხელოვნება საბჭოთა კავშირში.

ალექსი ტოლსტოი თავის სიტყვაში აღშფოთებით ჰგმობდა ტროცკისტების საზიზღარ, გამცემლურ როლს, რომელნიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ფაშიზმის, კულტურის მოსისხლე მტრის დამქაშები. ტოლსტოის გამოსვლას მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ჰოლანდიის ცნობილი პროფესორი ბრაუერი თავის გამოსვლაში მოითხოვდა ბრძოლას ფაშიზმთან და ესპანეთის დაცვას.

ფრანგმა მწერალმა ტრისტან ტზარამ გამოაქვეყნა ანგარიში კულტურის დაცვის მწერალთა საერთაშორისო ასოციაციის სექციის საქმიანობისა რესპუბლიკური ესპანეთისათვის დახმარების გაწევის საქმეში.

ყრილობაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკელი მწერალი მალკოლმ კოული და გერმანელი მწერალი ანა ზეგერსი. როდესაც ზეგერსმა თავის სიტყვაში ახსენა 1936 წლის შემოდგომაზე მადრიდის ფრონტზე დაღუპული გერმანელი რევოლუციონერის ჰანს ბეიმლერის სახელი, დარბაზი წამოდგა და ფეხზემდგომი, მდუმარებით ისმენდა, თუ რას ლაპარაკობდა მწერალი—ქალი ბეიმლერის შესახებ.

კონგრესმა მიიღო მისალმებანი ინტერნაციონალური ბრიგადისაგან და გერმანელ მწერალ რეგლერისაგან, რომელიც დაიჭრა რესპუბლიკური ესპანეთისათვის ბრძოლის დროს.

მთავრობამ გუშინ ღამით გამართა საუზმე დელეგატების პატივსაცემად. საუზმეზე მთავრობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა განათლების მინისტრმა ერნანდესმა. ერნანდესის საპასუხოდ გამოვიდნენ: ფრანგი მწერალი მალრო, გერმანელი მწერალი ლუდვიგ რენი, აგრეთვე საბჭოთა მწერლები ილია ერენბურგი და ალექსი ტოლსტოი.

◇

პოლონეთისა და რუმინეთის გენერალური შტაბების უფროსთა თათბირი

ვარშავა, 6 ივლისი. (საქდესი). ექსპრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ ბუქარესტში მიმდინარეობდა პოლონეთისა და რუმინეთის გენერალური შტაბების უფროსთა თათბირი რუმინეთის საავიაციო მინისტრის ირიმესკუს მონაწილეობით.

თათბირებს შორის შესვენებისას პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი და მისი თანმხლები ოფიცრები მიიღო რუმინეთის მეფე კაროლმა.

○ ◇ ○

„მოლაპარაკე წერილი"

ლენინგრადი, 5 ივლისი. (საქდესი). წითელი არმიის ს. მ. კიროვის სახელობის სახლის კაბინეტებში ამ დღეებში არაჩვეულებრივი გაცხოველება იყო. შორეულ სადგურებზე მეზამთრე პოლარელთა დედები, ცოლები, ბავშვები და ახლო მეგობრები მოვიდნენ აქ რათა ელაპარაკონ მამაცს მეზამთრეებს თავის საქმეებსა და საზრუნავ საგნებზე, გადასცენ მათ გულითადი სალამი. პოლარელთა ოჯახებს მომსახურებას უწევს აპარატი „მოლაპარაკე წერილი", კონსტრუირებული გამომგონებლების იასინოვოროდსკის, გირშინისა და ჟუკოვის მიერ.

...მიკროფონთან მიდის ტიქსის ბუხტში მეზამთრე ამხ. ფენიუშკინის შვილი, ოქტომბრელი ვადიმი და სთხოვს მამას ჩამოუყვანოს მას თეთრი დათუნია. სამაგიეროდ პირდება, სამაგალითოდ ვისწავლი და არ ვიცელქებო.

ერთი წუთის შემდეგ ვადიმი ღებულობს ჩვეულებრივ ღია საფოსტო ბარათს, რომლის ერთ მხარეზე დაწებებულია აფსკი; აფსკზე აღბეჭდილია ყველაფერი, რაც მან აპარატში სთქვა. მას ისღა დარჩენია, რომ დაბეჭდოს ღია ბარათი და დააწეროს მისამართი. მიიღებს რა წერილს, ამხ. ფენიუშკინს შეუძლია დასდოს იგი პატეფონზე, როგორც გრამაფონის ჩვეულებრივი ფირფიტა, და მოისმინოს შვილის „მოლაპარაკე წერილი".

მეზამთრეთა მახლობლები გზავნიან დაახლოვებით 300 ასეთ წერილს. ავიაფოსტა და ყინულმჭრელები მიიტანენ ამ წერილებს დიქსონის კუნძულზე, სერგე - კამენზე, ამდერმაში და ვანკარემში, ჩელუსკინის და შმიდტის კონცხებზე, მატოჩკინ შარის და იგარკის მეზამთრეებთან.

იდა კვარაცხელია

თბილისის მაუდის ფაბრიკის სტახანოველი ბრიგადირი.

ფოტო „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

იაპონიის სამხედრო წრეების ახალი პროვოკაცია

ხაბაროვსკი, 6 ივლისი. (საქდესი). 5 ივლისს, 12 საათსა და 15 წუთზე, სასაზღვრო სადარაჯომ 5 კაცის შემადგენლობით საზღვრის შემოვლისას ვინოკურკის მთის რაიონში, რომელიც იმყოფება №24 სასაზღვრო სვეტის სამხრეთით, ჩვენს ტერიტორიაზე შეამჩნია იაპონელ მანჯურელთა ჯგუფი. შენიშნეს რა ჩვენი სადარაჯოს მიახლოვება, იაპონელ-მანჯურლებმა სროლა აუტეხეს ჩვენს მესაზღვრეებს და მიიმალნენ მანჯურიის ტერიტორიაზე, დასტოვეს რა ჯარისკაცის რამდენიმე ჩანთა ნივთებითა და ვაზნებით და ერთი ჩაჩქანი.

14 საათსა და 30 წუთზე ჩვენს მესაზღვრეებს, რომლებიც ახდენდნენ ამ ადგილის ხელმეორედ შემოვლას, უეცრად თოფისა და ტყვიამფრქვევების სროლა აუტეხა იაპონია-მანჯურთა რაზმმა, რიცხვით ერთ ასეულამდე, რომელიც ჩასაფრდა ვინოკურკის მთის ქედზე, საბჭოთა ტერიტორიაზე. სროლის შედეგად იაპონია-მანჯურთა რაზმი განდევნილ იქნა საზღვრის ხაზიდან. ორივე მხრივ არიან მოკლულნი და დაჭრილნი.

○

კომპეტენტური წყაროებიდან საქ. დეპ. სააგენტოს მიერ მიღებული ცნობებით, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა იმავე დღეს, 5 ივლისს, იაპონიის ელჩს განუცხადა პროტესტი საბჭოთა მესაზღვრეებზე იაპონელ-მანჯურთა ახალი პროვოკაციული თავდასხმის წინააღმდეგ.

◇ ◇ ◇

არჩევნების შედეგები ირლანდიაში

ლონდონი, 6 ივლისი. (საქდესი). როგორც დუბლინიდან (ირლანდია) იუწყებიან, 5 ივლისს შუაღამისას გამოქვეყნდა შემდეგი ცნობები ირლანდიაში მომხდარი არჩევნების შესახებ: დე ვალერას პარტიამ (ირლანდიის რესპუბლიკელები) მიიღო 65 მანდატი, კოსგრევის პარტიამ (ირლანდიის გაერთიანებული პარტია, რომელშიც შედიან ლურჯხალათიანთა ორგანიზაცია და ფერმერთა კულაკური ლიგა) მიიღო 44 მანდატი, ლეიბორისტებმა — 11 და დამოუკიდებლებმა—8.

ირლანდიის ახალ კონსტიტუციას ხმა მისცა 617.338 კაცმა, წინააღმდეგ—469.039 კაცისა.

○ ◇ ○

ირლანდიის ახალი კონსტიტუცია

ლონდონი, 5 ივლისი (საქდესი). ირლანდიის პარლამენტის არჩევნების შედეგთა პირველი გამოანგარიშებით, დე ვალერას პარტიამ (ირლანდიელი რესპუბლიკელები) მიიღო 572.195 ხმა. კოსგრევის პარტიამ (ირლანდიელთა გაერთიანებული პარტია, რომელშიაც შედიან ლურჯხალათიანების ფაშისტური ორგანიზაცია და კულაკურ-ფერმერული ლიგა) მიიღო 421.970 ხმა. ლეიბორისტებმა მიიღეს—113.780 და დამოუკიდებლებმა—129.281 ხმა

კენჭისყრას ირლანდიის ახალი კონსტიტუციის საკითხზე შემდეგი შედეგები მოჰყვა: კონსტიტუციის სასარგებლოდ 425.388 ხმა და წინააღმდეგ—353.169 ხმა. კანონპროექტი ახალი კონსტიტუციის შესახებ მიიღეს პარლამენტის 14 ივნისის სხდომაზე 62 ხმით 48-ის წინააღმდეგ. ამ კონსტიტუციის თანახმად, უქმდება ინგლისის გენერალ-გუბერნატორის პოსტი; მას სცვლის ირლანდიის პრეზიდენტი. პრეზიდენტს ეკისრება ქვეყნის ყველა სამხედრო ძალთა უზენაესი სარდლობა. პროექტი ითვალისწინებს ორპალატიან სისტემას: ქვედა პალატასა (დეილს) და სენატს. კონსტიტუციის პროექტში არ არის მოხსენებული ინგლისის მეფე და დიდბრიტანეთი. სახელწოდება „ირლანდიის თავისუფალი სახელმწიფო" იცვლება „ეირე"-თი (ირლანდია), რომელიც, კონსტიტუციის პროექტის თანახმად, წარმოადგენს „სუვერენულ დამოუკიდებელ დემოკრატიულ სახელმწიფოს".

◇ ◇ ◇

ქალთა ანტიფაშისტური და ანტისამხედრო გაერთიანების ყრილობა

პარიზი, 4 ივლისი (საქდესი). გუშინ ისი-ლე-მულინოში, პარიზის მახლობლად გაიხსნა ქალთა ანტიფაშისტური და ანტისამხედრო გაერთიანების სრულიად-საფრანგეთის ყრილობა. ყრილობას დაესწრნენ სხვა ქვეყნების ქალთა ანტიფაშისტური მოძრაობის წარმომადგენელნიც.

◇

ჩაის ფოთლის კრეფა

მიწსახკომის 6 ივლისის ცნობებით

რაიონები	დაკრეფილია [illegible] კილოგრამობით	დაკრეფილია ივლისში კილოგრამობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ივლისის გეგმის შესრულება პროც.
მახარაძე	1.684.563	146.000	35,4	9
ჩოხატაური	275.826	23.217	38,4	10,4
ლანჩხუთი	898.875	40.306	36,5	5.3
სამტრედია	57.356	1.915	47,8	6,2
წულუკიძე	83.061	3.224	41.5	55,4
ქუთაისი	21.115	1.056	50,7	10
ტყიბული	88.157	4.505	49	9.2
ცხაკაია	235.319	10.684	39,8	5,7
გეგეჭკორი	351.877	21.118	44,5	8,4
ზუგდიდი	593.753	46.480	35.1	6,8
წალენჯიხა	212 446	9.886	34,3	5
ჩხოროწყუ	170.278	4.733	36,2	3,3
ხობი	72.166	4.531	42,4	8,2
აჭარის ასსრ	1.392.018	123.148	38,5	10.2
იქიდან:				
ბათუმის რ.	217.734	14.297	41	9,4
ქობულეთის რ.	1.074.568	102.083	37.7	10,3
აჭარის საბ. მ. ტრესტი	99.716	6.768	43,3	11
აფხაზეთის ასსრ	718.253	25.306	39,7	4,5
იქიდან:				
გალის რ.	503.879	16.970	43.4	5
ოჩამჩირის რ.	214.374	8.336	33	3.8
სულ	6.866.063	466.109	37,7	7,9

თავდაცვის სესხის დიდი წარმატება

სესხის რეალიზაცია რესპუბლიკაში

საქართველოს შემნახველ სალაროებისა და სახკრედიტის ცენტრალურ სამმართველოში შეჯამებულ ცნობებით, 6 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში უკვე გავრცელებული იყო **53.831.000** მანეთის სესხი; აქედან მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებული იყო **47.048.000** მანეთის სესხი, ქალაქის შეუკავშირებელ მოსახლეობაში — **3.795.000** მანეთისა, კოლმეურნეთა შორის — **2.822.000** მანეთისა და ერთპიროვნულ მეურნეთა შორის **166.000** მანეთისა.

აღნიშნული რიცხვისათვის რესპუბლიკის ქალაქებში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 231.038 მშრომელს — სოფლად — 72.889 მშრომელს.

ლაგოდეხის და ალბულაღის რაიონებში მიღებულია ნაღდად ხელმოწერის თანხა 4.000 მანეთის რაოდენობით.

უკანასკნელ დღეებში სესხზე ხელისმოწერა ფართოდ გაიშალა სოფლად, კოლმეურნეობებში. ამ მხრივ კარგ მაჩვენებლებს იძლევიან თბილისის, ლუქსემბურგის, ხაშურის, წულუკიძის, ჩოხატაურის, ჩხოროწყუს, მახარაძის და გორის რაიონები.

აჭარაში და აფხაზეთში. სესხის რეალიზაცია კვლავ იშვიათი წარმატებით მიმდინარეობს. 6 ივლისისათვის აჭარაში გავრცელებული იყო 4.762.000 მანეთის სესხი, აფხაზეთში კი—4.001.000 მანეთისა. წინა დღით, ე. ი. 5 ივლისისათვის, აფხაზეთში გავრცელებული იყო 2.825.000 მანეთის სესხი, აჭარაში კი — 4.559.000 მანეთისა.

სესხის რეალიზაცია რაიონებში

ხაშურის რაიონში 6 ივლისისათვის „თავდაცვის განმტკიცების სესხზე" ხელმოწერის თანხამ 1.371.000 მანეთს მიაღწია. მუშა-მოსამსახურეთა შორის აღნიშნული რიცხვისათვის გავრცელებული იყო 1.080.000 მანეთის სესხი.

○

კასპის რაიონში 6 ივლისისათვის ახალი სესხი გავრცელებული იყო ქალაქად 279.205 მანეთისა. სოფლად—221.615 მანეთისა.

ქალ. ბორჯომში ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 6 ივლისისათვის 724.000 მანეთს მიაღწია.

○

ქუთაისის რაიონში „თავდაცვის განმტკიცების სესხზე" ხელისმოწერა განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს. 6 ივლისისათვის მთელ რაიონში გავრცელებული იყო 2.498.000 მანეთის სესხი. ქალაქად სესხზე ხელი მოაწერა 12.752 მშრომელმა.

სესხის რეალიზაცია გორში

დეპეშა „კომუნისტის" რედაქციას

გორი, 7 ივლისი. გორის რაიონში საბჭოთა კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე ხელისმოწერის თანხამ 7 ივლისისათვის 925.000 მანეთს მიაღწია. სესხზე ხელი მოაწერა 10.820 მშრომელმა.

სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშები და ინჟინერ-ტექპერსონალი სიხარულით აწერენ ხელს „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხს".

ორი დღის განმავლობაში 2.860 კაცმა ხელი მოაწერა სესხზე 400.540 მანეთის რაოდენობით.

ახალ სესხზე ხელისმოწერამ გამოიწვია ახალი შრომითი ენთუზიაზმი. მოწინავე სტახანოველი გ. მეცხოვრიშვილის ბრიგადამ ხელი მოაწერა თითო თვის ხელფასზე და აიღო ვალდებულება, რომ ბრიგადა ყოველთვიურად გეგმას შეასრულებს 250-300 პროცენტით (საქდესი).

თბილისში სესხზე ხელმოწერამ 28.320.285 მანეთს მიაღწია

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების თბილისის სამმართველოს ცნობებით, „სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხზე" ხელმოწერა თბილისში 7 ივლისს საღამოსათვის შეადგენდა 28.320.285 მანეთს.

სესხზე ხელი მოაწერა 159.601 კაცმა, აქედან ორგანიზებულ სექტორში — 127.077 კაცმა (ხელი მოაწერა 25.557.015 მანეთის რაოდენობით) და მოსახლეობის შეუკავშირებელ სექტორში — 32.524 კაცმა (რომლებმაც ხელი მოაწერეს 2.763.270 მან. რაოდენობით).

თბილისში სესხზე ხელმოწერა ძირითადად მთავრდება.

სესხზე ხელის მოწერა მოსკოვში

მოსკოვი, 5 ივლისი. (საქდესი). მოსკოვის მაგალითისამებრ სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხს აქტიურად ავრცელებენ მოსკოვის ოლქის მშრომელნი. უკვე 4 ივლისის ხელისმოწერის თანხამ ოლქის ქალაქებსა და სოფლებში (უმოსკოვოდ) 100 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის საოლქო სამმართველოს ცნობებით 5 ივლისის დილის 10 საათისათვის ოლქში სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 931.200 კაცს მათ სახელმწიფოს სესხად მისცეს 141.873 ათასი მანეთი.

ორ დღეში—270.000 მანეთი

ცხაკაია, 7 ივლისი (საკ. კორ.). სოციალიზმის სამშობლოს თავდაცვის განმტკიცების სესხის გამოშვებას ცხაკაიას რაიონის მშრომელნი დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ.

პირველ ორ დღეს რაიონში სესხზე ხელმოწერამ 270.000 მანეთს მიაღწია.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით მიმდინარეობს.

ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტის წერილი

პარიზი, 5 ივლისი. (საქდესი). ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტმა შოტანს, დელბოსს, ჩემბერლენსა და იდენს მიმართა წერილით, რომელშიც გერმანიისა და იტალიის მთავრობათა წარმომადგენლების წინადადებანი შეფასებულია, როგორც პროვოკაცია დემოკრატიულ ხალხთა და მათ მთავრობათა მისამართით.

„ჩვენ ვთხოვთ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებს მშვიდობიანობისა და თავისუფლების მილიონობით მეგობართა სახელით,—ნათქვამია წერილში, — კატეგორიული უარით უპასუხონ გერმანია-იტალიის ცინიკურ წინადადებებს და არ დაუშვან, რომ საფრანგეთის და ინგლისის მთავრობანი კომპრომისში იქნან ჩათრეულნი.

ამჟამად საქმე ეხება იმას, რომ დაუყოვნებლივ მიეცეს რესპუბლიკურ ესპანეთს მისი კუთვნილი საერთაშორისო უფლებანი. საქმე ეხება ერთა ლიგის წესდების გამოყენებას აგრესორების მიმართ, რომლებიც არღვევენ ესპანეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. საქმე ეხება ესპანეთის მთავრობასთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენას, რათა მას შეეძლოს უზრუნველჰყოს თავი დაცვის საჭირო საშუალებებით".

◇ ◇ ◇

საბერძნეთის კომპარტიის აქტივობა

ვენა, 6 ივლისი (საქდესი). უნგრეთის გაზეთი „აზ ესტი" იუწყება, რომ საბერძნეთის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს მეტაქსასი, „მეტად შეშფოთებულია არალეგალური კომუნისტური პარტიის აქტივობის ზრდით". მთავრობამ ჯილდოდ 70 ათასი დრაჰმა აღუთქვა იმათ, ვინც ხელისუფლებას გადასცემს ყოფილ კომუნისტ-დეპუტატებს და კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელებს.

გაზეთი „ტანი" სსრ კავშირის მიღწევების შესახებ

ანკარა, 5 ივლისი (საქდესი). გაზეთმა „ტანმა" მოათავსა სტატია რომელიც ეხება სამ დიდ ისტორიულ მიღწევას სსრ კავშირში უკანასკნელ დროს: მოსკოვ-ვოლგის არხის მშენებლობას, საბჭოთა მფრინავების ექსპედიციას ჩრდილოეთის პოლუსისაკენ და ჩკალოვის, ბაიდუკოვისა და ბელიაკოვის გადაფრენას ჩრდილოეთის პოლუსით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აფასებს რა თვითეულ ამ მიღწევას, როგორც ისეთ „მოვლენებს, რომელნიც აინტერესებენ მთელს მსოფლიოს არა მარტო დღევანდელი დროის, არამედ მომავლის თვალსაზრისითაც", გაზეთი სწერს, „ხალხს, რომელმაც შესძლო მოეპოვებინა ყველა ეს დიადი მიღწევა ერთი თვის განმავლობაში, უფლება აქვს სიამაყით შეჰყურებდეს მომავალს".

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის აქტივის კრება

მოსკოვი, 7 ივლისი. (საქდესი). 4-5 ივლისს მიმდინარეობდა მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხრუშჩოვი, რომელსაც ტაშით შეხვდნენ.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობდა მოსკოვის ორგანიზაციის ამოცანებზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებასთან დაკავშირებით.

— მასებთან კავშირის კიდევ უფრო განმტკიცება, საბჭოთა ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება მშრომელთა მომსახურების საქმეში—ასეთია ამოცანები, რომლებიც დგანან მოსკოვის ორგანიზაციის ბოლშევიკების წინაშე.

ამხ. ხრუშჩოვმა კრებას უამბო, თუ რა უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა სოფლის მეურნეობის საკითხებზე. სწორი თესლბრუნვის შემოღება, მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესება, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის სწორი ორგანიზაცია—ყველა ეს ღონისძიება დახმარებას გაგვიწევს უფრო სწრაფად განვახორციელოთ სტალინური ლოზუნგი—უახლოეს დროში მივაღწიოთ მარცვლეული კულტურების 7-8 მილიარდ ფუთ მოსავალს. სწორი თესლბრუნვის გატარებასთან დაკავშირებით მოსკოვის ოლქმა წელს უნდა გასტეხოს 180 ათასი ჰექტარი ყამირი.

ამხ. ხრუშჩოვმა ილაპარაკა პარტიული მუშაობის ამოცანებზე და განსაკუთრებით შეჩერდა პარტიაში მიღებისა და ახალი კადრების დაწინაურების საკითხზე.

მომხსენებელი მოსკოვის ორგანიზაციის წინაშე აყენებს ამოცანას:

— უფრო გაბედულად და უფრო ენერგიულად წამოვაყენოთ ახალგაზრდა, პარტიისადმი, სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი ერთგული კადრები.

დასასრულ ამხ. ხრუშჩოვი პარტიული აქტივის ყურადღებას ამახვილებს სიფხიზლის საკითხებზე.

— მტრების ნასხლეტები აქა-იქ ჯერ კიდევ დარჩნენ, არ უნდა შევასუსტოთ მუშაობა მავნებლების, ჯაშუშების გამოსამჟღავნებლად. უნდა გამოვათრიოთ ისინი მზის სინათლეზე და მოვსპოთ უკლებლივ ყველანი,—ამბობს ამხ. ხრუშჩოვი, რასაც ყველა დამსწრე მქუხარე მოწონებით ხვდება.

ამხ. ხრუშჩოვის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: შჩუკინი (მოსკოვის კომიტეტის მდივანი), ლევიცკი (მოსკოვის საოლქო სამიწათმოქმედო სამმართველოს უფროსი), ბრანტი (მოსკოვის კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე), ბიკოვი (პარტიის ძერჟინსკის რაიკომის მდივანი), იაროსლავსკი, ფილატოვი (მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე). კოგანი (მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ქიბარიოვი („ტრიოხგორკის" პარტკომის მდივანი), ვილუნასი (ფაბრიკა „ბოლშევიკის" პარტკომის მდივანი) და სხვანი.

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ დიდი სიტყვით გამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. პოტიომკინი.

გამოსული ამხანაგები კრებას უამბობდნენ, თუ როგორ გაცხოველდა პარტიული მუშაობა ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ორატორები მრავალი მაგალითით ცხადჰყოფდნენ, თუ როგორ გაიშალა მუშაობა მავნებლობის შედეგების სალიკვიდაციოდ და ჯაშუშ-მავნებელ ელემენტთა აღმოსაფხვრელად. პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების არჩევნები, სესხზე ხელისმოწერის დროს გამოჩენილი უდიდესი აღფრთოვანება—ამბობდა ბევრი ორატორი,—აშკარად მოწმობს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების გაზრდილ აქტივობას, პარტიული და უპარტიო მასების უდიდეს შემჭიდროვებას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

ოლქის სასოფლო-სამეურნეო რაიონთა მუშაკები ამბობდნენ, რომ მთავრობის ღონისძიებანი მარცვლეულის კულტურების თესლის გასაუმჯობესებლად პარტიულ ორგანიზაციებს აძლევს გასაღებს იმისა, რომ რაც შეიძლება სწრაფად განახორციელონ ამხანაგ სტალინის ლოზუნგი — მივიღოთ მარცვლეული კულტურების 7-8 მილიარდი ფუთი მოსავალი.

გამოსული ამხანაგები აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება უზრუნველჰყოფს კომუნიზმის მშენებლობაში ყველა მშრომელის მონაწილეობას, რაც ისტორიაში უმაგალითოა. მოსკოვის ბოლშევიკები შეუდგნენ არჩევნების დებულების ყოველდღიურ განმარტებას მუშებისა, მოსამსახურეებისა და მშრომელთა ყველა ფენისათვის.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მთლიანად და სავსებით იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი — ამხანაგ სტალინისადმი.

◇ ◇

ამინდი პოლუსზე

მოსკოვი, 6 ივლისი. (საქდესი). 6 ივლისს ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარ სამმართველოში „ჩრდილოეთის პოლუსის" პოლარულ სადგურისაგან მიღებულ იქნა მორიგი მეტეოროლოგიური ნაკრები ცნობები.

დილის 7 საათზე მოდრეიფე სადგური იმყოფებოდა განედის 88 გრადუსზე და 32 წუთზე და დასავლეთ გრძედის 13 გრადუსზე. სადგურის თავზე სრული ღრუბლიანობა იყო. ღრუბლები მოძრაობდნენ 600 მეტრის სიმაღლეზე. ხილვადობა შეადგენდა 2-4 კილომეტრს. ჰქროდა 3 ბალიანი ქარი. თერმომეტრი უჩვენებდა 0 გრადუსს.

13 საათისთვის კოორდინატები, ღრუბლიანობა, ტემპერატურა და ქარის ძალა უცვლელი იყო. ხილვადობა გაუარესდა ერთ კილომეტრამდე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრების რეზოლუცია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა ამხ. ხრუშჩოვის მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგების შესახებ, მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის კრება სავსებით და მთლიანად იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებას და მოითხოვს მოსკოვის ორგანიზაციის თვითეული ბოლშევიკისაგან მათ განუხრელად გატარებას ცხოვრებაში.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტი მოწონებული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ, წარმოადგენს რა სტალინური კონსტიტუციის ნაყოფს, უზრუნველჰყოფს მშრომელი მასების პოლიტიკური აქტივობის ახალ ზრდას, მათს ჩაბმას სახელმწიფოს მმართველობაში, ხალხის ნამდვილი დემოკრატიის განხორციელებას და მუშათა კლასის დიქტატურის შემდგომ განმტკიცებას.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტი, გამომუშავებული დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, წარმოადგენს სოციალიზმის იმ მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებათა გამოხატულებას, რომლებიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით.

უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების პროექტის თვითეული მუხლი გამსჭვალულია სტალინური ზრუნვით ადამიანებზე და ჰქმნის მტკიცე გარანტიებს, რომ განხორციელდეს ახალი საარჩევნო სისტემა — საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნები ფარული კენჭისყრით, იცავს ამომრჩეველთა უფლებებს ბიუროკრატების ყოველგვარ შესაძლო ხელყოფისაგან, ხალხის მტრების ყველა და ყოველგვარ ხელყოფისაგან, რომელიც მიმართულია ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მოქალაქეთა ნების თავისუფალი გამოვლინების წინააღმდეგ.

პარტიული აქტივის კრება სთვლის, რომ ყველა პარტიული ორგანიზაციის ცენტრალური ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიკურად მოემზადონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის, ისე გაშალონ ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობა მასებში, ისე განამტკიცონ კავშირი მასებთან, რომ სათავეში ჩაუდგნენ მზარდ პოლიტიკურ აქტივობას და არ დაუშვან ხალხის მტრების შეპარვა საბჭოთა ორგანოებში.

უნდა მივაღწიოთ იმას, რათა სოციალიზმის ქვეყნის ყველა მოქალაქემ ზუსტად იცოდეს თავისი უფლებანი და არჩევნების წესი.

პარტიული აქტივის კრება ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს მშრომელთა საბჭოების მომავალ არჩევნებს, უზრუნველჰყოს ამ არჩევნებში ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელი როლი, უზრუნველჰყოს ბოლშევიკური ხელმძღვანელობა მასების მიმართ და საბჭოებში არჩევა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანებისა, ჩვენი პარტიის საქმისადმი, სოციალიზმის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანებისა.

თვითეულ პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს უნდა ახსოვდეს, რომ ხალხის მტრები, განადგურებული ექსპლოატატორული კლასების ნაშიერალები — იაპონიის - გერმანიის ფაშისტი აგენტები, ტროცკისტები, ზინოვიეველები, მემარჯვენენი — ეს ჯაშუშები, დივერსანტები და მკვლელები ყოველნაირად შეეცდებიან გამოიყენონ არჩევნები თავისი მტრული კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

პარტიული აქტივის კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხალხის ყველა მტრის გამომჟღავნება, აღმოფხვრა და განადგურება წარმოადგენს საბჭოების არჩევნების წარმატებითი ჩატარების, სტალინური კონსტიტუციის განხორციელებისა და კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი ძლევამოსილი წინსვლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო გამარჯვებამ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მსხვილი სოციალისტური მეურნეობის სისტემის ბატონობამ შეჰქმნეს ყველა საჭირო პირობა ყველა კულტურის მოსავლიანობის ამაღლებისა და მყარობისთვის და ამით კოლმეურნეობათა სიმდიდრისა და ყველა კოლმეურნის შეძლებულობის ყოველმხრივი ზრდისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების შესახებ წარმოადგენს ბრძოლის პროგრამას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ხარისხობრივი გაუმჯობესებისათვის, 7-8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანის შესახებ სტალინური მითითების განხორციელებისათვის.

მეთესლეობის სწორად დაყენება წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქტულობის ერთერთ გადამწყვეტ პირობას. პარტიის XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„სოფლის მეურნეობის ერთერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორი თესლბრუნვის შემოღება, წმინდა ანეულის გაფართოვება, თესლის საქმის გაუმჯობესება მიწათმოქმედების ყველა დარგში". სამიწათმოქმედო ორგანოების, და, განსაკუთრებით, სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მარცვლეულის მთავარი სამმართველოს არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად, ჩაშლილია შესრულება მეორე ხუთწლიანი გეგმით დასმული ამოცანისა — აყვანილ იქნას ხარისხობრივი ნათესები მარცვლეულის მთელი ფართობის 75 პროცენტამდე.

სახელმწიფოს მტრები, გლეხების მტრები მთელ რიგ სამიწათმოქმედო ორგანოებში მრავალი წლის მანძილზე ძირს უთხრიდენ მუშაობას, მავნებლურად რევდნენ მეთესლეობას, ჩვენი მიწათმოქმედების საფუძველს, და ამით ფუშავდნენ სწორი თესლბრუნვის შემოღებას. მავნებლები სცდილობდნენ ყოველნაირად ჩაეშალათ ადგილობრივ მყარი ჯიშების წარმოება, სცვლიდნენ რა მათ არამყარი ჯიშებით, კლიმატური პირობებისათვის შეუფერებელი ჯიშებით. ამ ფაქტებს ადგილი ჰქონდა მოსკოვის ოლქშიაც.

საკ. კ. პ. ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასმული ამოცანა, რომ ორი წლის განმავლობაში მოხდეს გადასვლა ყველა მარცვლეული კულტურის შერჩეული თესლით თესვაზე, რომელიც მოყვანილი იქნება თვითეულ საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის მიერ, — ეს ამოცანა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, სადაც მტკიცედ გაიმარჯვა სოციალისტურმა მეურნეობამ.

პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ ფართო საკოლმეურნეო მასების მობილიზაცია მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების წარმატებით განსახორციელებლად.

პარტიული აქტივის კრება მოუწოდებს ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს, პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოებში მომუშავეთ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ დადგენილების პროექტის განხილვაში, რომელიც ეხება სწორი თესლბრუნვის შემოღებას, უზრუნველჰყონ ამ პროექტის განხილვაში კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობა, დაუნდობლად გამოამჟღავნონ და აღმოფხვრან ცრუ მეცნიერული თეორიის ყოველგვარი მავნებლური ელემენტები, რომლებიც ჰფუშავდნენ თესლბრუნვის სწორად გატარებას და მეთესლეობის გაუმჯობესებას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასმული საკითხი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ წარმოადგენს უდიდეს ღონისძიებას კოლმეურნე გლეხობისადმი საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ დახმარებაში, სოციალისტური მინდვრების დამუშავების მექანიზაციის საქმეში. პარტიული აქტივის კრება მოუწოდებს პარტიის წევრებს, განსაკუთრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებს, უზრუნველჰყონ ამ საკითხის განხილვა და მიაღწიონ მანქანა-ტრაქტორების სადგურთა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა, ამხანაგ სტალინის იმ მითითებათა ცხოვრებაში განუხრელად გატარების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ამ პლენუმზე წაკითხულ მოხსენებაში და საბოლოო სიტყვაში, მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ, ისე როგორც მთელმა პარტიამ, მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს თავის რიგების გაწმენდის საქმეში ხალხის მტრებისაგან, ტროცკისტების, ზინოვიეველების და მემარჯვენეებისაგან, — ამ ჯაშუშებისა, დივერსანტებისა და მკვლელებისაგან. პარტიამ განამტკიცა თავისი რიგები, აამაღლა პარტიული მასების იდეურ-პოლიტიკური დონე და რევოლუციური სიფხიზლე.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებითი განხორციელება, რომლებიც აიარაღებენ პარტიასა და მშრომელ მასებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის განსამტკიცებლად შემდგომი ბრძოლისათვის, თვითეული პარტიული ორგანიზაციისგან, თვითეული ბოლშევიკისგან მოითხოვს თავისი სიფხიზლის, პოლიტიკური თვალმახვილობის უფრო მეტად გაძლიერებას, იმის უნარს, რომ გამოიცნო, გამოამჟღავნო და დაუნდობლად გაანადგურო ხალხის მტრები, რა ნიღაბსაც უნდა ატარებდნენ ისინი.

პარტიული აქტივის კრება სიტყვას აძლევს პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ სტალინს, რომ მოსკოვის ბოლშევიკური ორგანიზაცია იყო, არის და იქნება ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის — ჩვენი პარტიის მებრძოლი შტაბის ურყევი დასაყრდენი.

პარტიული აქტივის კრება მოუწოდებს ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს უფრო მტკიცედ შემჭიდროვდნენ პარტიის ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის გარშემო შეუპოვარი ბრძოლისათვის კომუნიზმის სრული გასამარჯვებლად.

ყველაზე უფრო დემოკრატიული საარჩევნო კანონი

სსრ კავშირის VII მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეოთხე სესიამ, რომელიც დღეს იხსნება მოსკოვში, უნდა განიხილოს „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების" პროექტი და კანონის ძალა მისცეს ამ დებულებას. ამით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამთავრებს საარჩევნო სისტემის, როგორც სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის განუყოფელი ნაწილის, დემოკრატიზაციის დიად ისტორიულ საქმეს.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ახლა მთელ მსოფლიოს ევლინება, როგორც დამთავრებული დიდებული შენობა, რომელიც გაოცებას იწვევს ყველა თავისი ხაზის, მთელი თავისი ისტორიული განზრახვის მთლიანობით, დახვეწილობით და გარკვეულობით. ეს არის აზრისა და ნებისყოფის გრანდიოზული ძეგლი, რომელიც აგვირგვინებს მუშათა კლასის მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებას და მოასწავებს ახალ ეპოქას საზოგადოებრივ მშენებლობაში.

გავიხსენოთ ძირითადი ეტაპები, რომლებიც გაიარა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შექმნამ, რაც ამჟამად მთავრდება უზენაეს საბჭოს არჩევნების დებულებით. დასაბამი მიეცა საბჭოების VII ყრილობაზე 1935 წლის 6 თებერვალს დადგენილებით ამხანაგ მოლოტოვის მოხსენების გამო საბჭოთა კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ.

ამხანაგმა მოლოტოვმა ასე დაიწყო თავისი მოხსენება:

„საკითხი საბჭოთა კონსტიტუციაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შესახებ დასმულია ამ ყრილობაზე საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის წინადადებით. თვით ცენტრალურ კომიტეტში ეს საკითხი დაისვა ამხანაგ სტალინის ინიციატივით. (ტაში)".

VII ყრილობის მიერ მიღებული დადგენილების პირველ მუხლში ნათქვამი იყო:

„შეტანილ იქნას სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებანი შემდეგი მიმართულებით:

ა) მოხდეს საარჩევნო სისტემის შემდგომი დემოკრატიზაცია იმ მხრივ, რომ არა სავსებით თანასწორი არჩევნები შეიცვალოს თანასწორით, მრავალსაფეხურიანი—პირდაპირით, აშკარა — ფარულით..."

მეორე დღეს, 1935 წლის 7 თებერვალს, საბჭოების ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პირველმა სესიამ აირჩია საკონსტიტუციო კომისია ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით. მისი უშუალო ხელმძღვანელობით კომისიამ დაამუშავა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი, და 1936 წ. 11 ივნისს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა გამოქვეყნებულიყო ეს პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

თითქმის ხუთი თვის განმავლობაში მთელი ქვეყანა იხილავდა კონსტიტუციის პროექტს. ეს თვეები სამახსოვროა. ამხანაგ სტალინის ინიციატივა მილიონებმა აიტაცეს. არასოდეს და არცერთ ქვეყანაში არ სწარმოებდა ასეთი გატაცებით, ასეთი აღგზნებით, გულწრფელობითა და თავისუფლებით დავა სახელმწიფოებრივი მშენებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ეს იყო პოლიტიკური აღზრდის საყოველთაო - სახალხო სკოლა.

პარტია და მთავრობა გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს ხალხის ხმას. უამრავი წინადადებანი და შესწორებანი იყო შეგროვილი და შესწავლილი.

საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობა გაიხსნა 1936 წლის 25 ნოემბერს ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებით სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. იგი გახდა საბჭოთა ქვეყნის ძირითად კანონად და მასთან-კომუნიზმის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტად, რომელიც თავისი მნიშვნელობით უტოლდება მარქსისა და ენგელსის „კომუნისტურ მანიფესტს". სსრ კავშირის კონსტიტუცია — ეს არის გამარჯვებული სოციალიზმის მანიფესტი, ლენინის დიად ანდერძთა განხორციელების მანიფესტი.

საბჭოების საგანგებო VIII ყრილობამ 1936 წ. 5 დეკემბერს დაამტკიცა კონსტიტუცია, რომელსაც ხალხმა სამართლიანად უწოდა სტალინური კონსტიტუცია. ყრილობამ სსრ კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაავალა დაემუშავებინა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე და დაემტკიცებინა უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესია, რომელიც დღეს, 7 ივლისს იხსნება, მოწოდებულია შეასრულოს ეს და მით დაამთავროს ისტორიული მუშაობა.

ასეთია ძირითადი ეტაპები. ყველა ისინი განუყრელად არიან დაკავშირებული ამხანაგ სტალინის სახელთან. მას ეკუთვნის ინიციატივა, მას ეკუთვნის კანონის ღრმა აზრები და გამოკვეთილი ფორმულები. მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ ხალხთან ერთად აწყობს სოციალიზმის გამარჯვებებს. საბჭოთა კონსტიტუციის საკითხების დამუშავება ნამდვილი ბოლშევიკური დემოკრატიის ყველაზე უფრო ბრწყინვალე, ყველაზე უფრო შესანიშნავი მაგალითია.

მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუცია შექმნილია ყველაზე უფრო დემოკრატიული გზით. მისი მომზადება შესანიშნავია. იგი მიდიოდა განუხრელად ერთი გზით, და ეს გზა არის მასების პოლიტიკური შეგნებულობის ამაღლება. ყველგან ბურჟუაზიულ ქვეყნებში საარჩევნო სისტემები ამომრჩევლებს უყურებენ როგორც „ხმისმიმცემ ფარას". საბჭოთა საარჩევნო კანონი აგებულია ამომრჩევლისადმი ღრმა პატივისცემაზე. მნიშვნელოვანია არა მარტო მისი ხმა,—მნიშვნელოვანია მისი დამოუკიდებელი აზრი, მისი თავისუფალი და გონივრული სიტყვა.

რა უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ კონსტიტუციის ამ მომზადებისა და განხილვის წლებში! ახალი საარჩევნო კანონი გვევლინება არა როგორც სამართლის სპეციალისტების მიერ მოგონილი მუხლების კრებული. იგი აღებულია ცხოვრებიდან და შემოწმებულია პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებით. უზენაესი საბჭოს არჩევნებს წინ უსწრებს პარტიული ორგანიზაციების არჩევნები, პროფკავშირული ორგანიზაციების არჩევნები. ესეც სახალხო აღზრდის სკოლაა. კრებებზე მასები სწავლობენ საქმიან, ნამდვილ, ბოლშევიკურ გაკრიტიკებას, და ჩვენ ვიცით, თუ რა მკაცრად, სამართლიანად, მოფიქრებით ეპყრობოდნენ მშრომლები პასუხსაგებ პოსტებზე დაყენებულ მუშაკებს.

საბჭოთა საარჩევნო კანონმა მხედველობაში მიიღო ცხოვრების გამოცდილება. მას არ შეეძლო წაებაძა ბურჟუაზიული საარჩევნო სისტემებისათვის, არ შეეძლო უბრალოდ ესარგებლნა ისტორიის მდიდარი გამოცდილებით. არჩევნები იმ საზოგადოებაში, სადაც მოსპობილი არიან ექსპლოატატორული კლასები, პრინციპულად განირჩევა არჩევნებისაგან კლასობრივ საზოგადოებაში, სადაც ძალაუფლება ბურჟუაზიას ეკუთვნის. ჩვენი არჩევნები—ეს მართლაც ხალხის მიერ ხალხიდან საუკეთესო ადამიანთა თავისუფალი შერჩევაა.

საბჭოთა ქვეყანა ყველაზე უფრო დემოკრატიულ საარჩევნო კანონს ღებულობს იმ დროს, როდესაც ფაშისტური გამძვინვარებული ბურჟუაზია ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში გაავთრებით ილაშქრებს დემოკრატიის ნაშთების წინააღმდეგ. დემოკრატიული რეჟიმის განხორციელების ცდამ ესპანეთში გამოიწვია ფაშისტური სახელმწიფოების, გერმანიისა და იტალიის ყაჩაღური მობილიზაცია ფრანკოს გენერალური ბანდის დასახმარებლად. ძველი „დემოკრატიული" ქვეყნები სამარცხვინო შავი ლაქებით იფარავენ თავს, როდესაც გულგრილად უცქერიან ესპანეთის ხალხის ბრძოლას საერთაშორისო ფაშისტ ყაჩაღებთან ან კიდეც ეხმარებიან ამ ყაჩაღებს.

კაპიტალისტური მეცნიერების მსახურნი აჩქარდნენ და ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისი გამოაცხადეს ყოველგვარი დემოკრატიის, „საზოგადოდ" დემოკრატიის კრიზისად. მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც მათი სამარისგამთხრელი მუშაობაა გაჩაღებული, დემოკრატია ზეიმობს, როგორც პროლეტარული დემოკრატია, როგორც მთელი ხალხის მიერ თავისუფლად და დამოუკიდებლად არჩეული ძალაუფლება. სსრ კავშირის ახალი საარჩევნო კანონი ახალი დამარეტიანებელი დარტყმაა ფაშიზმისა და ყველა მისი მსახურისათვის.

ფაშისტური ბურჟუაზია ცდილობდა სსრ კავშირის კონსტიტუციის შექმნაც ჩაეშალა. ჭეშმარიტად ეს იყო ცდა უვარგისი საშუალებებით! ყველა ტროცკისტ-ფაშისტ, ჯაშუშ, ბუხარინელ და სხვა მათის მსგავს არამზადას განზრახული ჰქონდა შეექმნა მშრომელთა ძვლებზე და სისხლით ჯალათების დიქტატურა, გერმანია-იაპონიის გენერლების და მათი აგენტების ძალაუფლება. მათ განზრახული ჰქონდათ მოეწყოთ დიდი სისხლისღვრანი და ცოდვილობდნენ ბინძურ ჯაშუშურ იატაკქვეშეთში. მაგრამ, ანადგურებდა რა მათს აყროლებულ ბუდეებს, ხვეტდა რა მათ რკინის ცოცხით ფარული კუთხეებიდან, ქვეყანა ერთი წუთითაც არ სწყვეტდა თავის მზადებას დემოკრატიული არჩევნებისათვის, პროლეტარული დემოკრატიის ზეიმისათვის. უბადრუკი ფაშისტი მახინჯები გაცამტვერებული არიან, ხალხის საყოველთაო ზიზღი და სიძულვილი—აი მათი ხვედრი.

მტკიცე, რკინის ნაბიჯით მიდის ჩვენი დიადი ქვეყანა არჩევნებისაკენ. გასრისა რა ჯაშუშები და მავნებლები, ამხელს რა მათ, ვინც კიდევ იმალება ხვრელებში, ჩვენი ხალხი განაგრძობს თავის საქმეს. ნამდვილი დემოკრატია თავზარდამცემია ხალხის მტრებისათვის, ჯაშუშებისა და ტერორისტებისათვის. მომავალი არჩევნები კიდევ უფრო აამაღლებს სტალინური კონსტიტუციით ნაკურთხ საბჭოთა დემოკრატიის როლსა და მნიშვნელობას. კომუნისტური პარტია თავის ირგვლივ შემჭიდროვებს სოციალიზმისათვის მებრძოლთა ახალ მილიონებს.

დემოკრატია ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, პირდაპირი გადმოთარგმნით რუსულ ენაზე ნიშნავს ხალხის ძალაუფლებას. არასოდეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე ეს სიტყვა არ ემთხვეოდა სინამდვილეს. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში დემოკრატია მუდამ იყო ხალხზე ბატონობა. და მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის ქვეყანაში, საბჭოთა ქვეყანაში სტალინური კონსტიტუცია სიტყვა დემოკრატიას უბრუნებს მის ნამდვილ მნიშვნელობას.

„პრავდის" მოწინავე, 7/VII

◆

პარტიულ თემაზე

საწევრო ანარიცხები

სკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ დამტკიცებული 1937 წლის 29 აპრილის ინსტრუქცია პარტსაწევროს გადასახადის შესახებ და პარტიული წესდება გარკვევით ავალებს თვითეულ კომუნისტს და პარტორგანიზაციას, რომ პარტსაწევრო ანარიცხები თავის დროზე იქნას შეტანილი შემნახველ სალაროში.

მაგრამ ეს საქმე სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციაში სუსტად არის დაყენებული. ამ მხრივ პარტკომი სუსტ ხელმძღვანელობას და კონტროლს უწევს პარტორგებს.

ინსტრუქცია ლაპარაკობს, რომ იმ ორგანიზაციებში, სადაც 100 წევრზე მეტია, რაიკომმა ეს საქმე შეიძლება მიანდოს პარტორგებს, მაგრამ ორჯონიკიძის რაიკომს ეს დღემდე არ გაუკეთებია. პარტბილეთებში ანარიცხების შეტანის დამოწმება ხდება ძველი ნიმუშის ბეჭდით, რაც დაუშვებელია. რაიკომს დღემდის არ უზრუნია, რომ პირველადს ორგანიზაციებს შეეძინათ სათანადოდ დანომრილი ბეჭდები.

უნივერსიტეტის პარტორგანიზაციაში საწევრო ანარიცხებს დაგვიანებით ჰკრეფენ. პარტორგები ამ საქმეში უპასუხისმგებლობას იჩენენ. ისინი დაგვიანებით (2-3 თვის შემდეგ) აბარებენ თანხებს შემნახველ სალაროს, მანამდე კი საწევრო ანარიცხებს ჯიბით ატარებენ, ან მაგიდის ყუთებში აქვთ ჩაკეტილი. ინსტრუქცია კი ამის შესახებ გარკვევით ლაპარაკობს, რომ პარტორგს ან პარტკომის მდივანს ანარიცხები შემნახველ სალაროში უნდა შეჰქონდეთ დეკადაში ერთხელ.

აპრილსა და მაისში აკრეფილი საწევრო ანარიცხები ხელზე აღმოაჩნდათ პარტორგებს: ს. კობახიძეს, ა. ნაროუშვილს, ნ. უკლებას და ზაქარეიშვილს.

ზაქარეიშვილი (ლითოგრაფიის პარტორგი) თითონვეა პარტიის საწევროს ცუდი გადამხდელი. 1936 წლის უკანასკნელი 4 თვის საწევრო გადასახადი მას დეკემბერში გადაუხდია, ხოლო ა.-წ. იანვრისა და თებერვლისა — მარტში. ზაქარეიშვილს იანვრის, თებერვლის და მარტის ანარიცხები ერთად აქვს აკრეფილი და შეტანილი შემნახველ სალაროში 11 აპრილს. აპრილისა და მაისის საწევრო ანარიცხებს ის დიდხანს ატარებდა ჯიბით.

აღნიშნულ ორგანიზაციაში პარტიის წევრები უდისციპლინობას იჩენენ, დროზე არ იხდიან საწევროებს. პარტორგი ამ მხრივ არავითარ ზომებს არ ღებულობს. მაგალითად არუთინოვი, ეფემკინი, ფილიპოვი და შალვა კუტუბიძე ანარიცხებს ხშირად 2-3 თვისას ერთად იხდიან.

პარტიის წევრს ე. ზესპროზვანაიას აპრილშიც და მაისშიაც აღებული აქვს 325 მანეთი თვიური ხელფასი, ნაცვლად იმისა, რომ გადაეხადა ჯამაგირის 2 პროცენტი (ე. ი. 6 მან. 60 კაპ.), ამ თვეებში გადახდილი აქვს მხოლოდ ორ-ორი მანეთი.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტი და რაიკომის ინსტრუქტორები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პარტიის საწევრო ანარიცხების აკრეფის საქმეს.

ნ. თავართქილაძე.

სკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორი.

დირექტორმა თავისი კანდიდატი გაიყვანა

(ცხაკაია, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ალკკ ცხაკაიას რაიკომმა კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარების წესის გასაცნობად მოაწყო აქტივის სპეციალური თათბირი, მაგრამ თათბირის მონაწილენი არჩევნებთან დაკავშირებული საკითხებიდან პრაქტიკულად ბევრს არაფერს გაიცნობიან. ამით უნდა აიხსნას, რომ ქალაქის მოზრდილთა საშუალო სკოლაში კომკავშირის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ გაშლილა კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამ ორგანიზაციაში ამახინჯებდნენ საარჩევნო წესს და არღვევდნენ შინასაკავშირო დემოკრატიას.

საანგარიშო პერიოდში თითქმის არ ჩანდა კომკავშირის კომიტეტის მუშაობა, ცუდად იყო დაყენებული პოლიტსწავლება, მაგრამ კრებამ მუშაობა მაინც „კარგზე" შეაფასა.

სკოლის დირექტორი ამხ. ფაჩულია აირჩიეს დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ და კომიტეტის წევრადაც დაასახელეს. კომიტეტის მდივნად კრებამ დაასახელა ამხ. შ. ტყებუჩავა და კემულარია. ფარული კენჭისყრისას ხმის უმრავლესობით კომიტეტის მდივნად ამხ. ტყებუჩავა გავიდა, მაგრამ ეს არ მოეწონა კომიტეტის წევრსა და დამთვლელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ფაჩულიას და ამხ. ტყებუჩავას აცილება მისცა. კომიტეტის შემადგენლობა აიძულა ხელმეორედ ეყარათ კენჭი და კომიტეტის მდივნად „თავისი ბიჭი" კემულარია გააყვანინა.

სოფ. ზანის კომკავშირის პირველადს ორგანიზაციაში სრულებით არ იყო გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა. რაიონული კონფერენციის დელეგატად კრებამ აირჩია წოწერია, რომელსაც გაფლანგვისათვის ორი წელი ჰქონდა მისჯილი.

საქ. ალკკ ცხაკაიას რაიკომმა უნდა გამოასწოროს საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე დაშვებული შეცდომები.

გრ. გეგენავა.

მესამე ხუთწლედის საკითხების განხილვა

საქართველოს მეტალურგიის განვითარების ზოგიერთი საკითხი

მეტალურგია მძიმე მრეწველობის ერთერთი მთავარი და წამყვანი დარგია.

თუ არ ჩავთვლით სპილენძის სატკეც პატარა ქარხანას, საქართველოში უკანასკნელ ხუთწლედამდე არ იყო მეტალურგიული წარმოება. ახლა კი გვაქვს ფეროშენადნობთა წარმოება ჯუღელში და ფოლადისა და თუჯის სამსხმელო ქარხანა ავჭალაში.

საქართველოს მოეპოვება თითქმის ყველა ძირითადი მსუბუქი და იშვიათი ლითონის საბადოები, მაგრამ მათი დიდი ნაწილი დღემდე შეუსწავლელია.

რკინის მადნის საბადოთა შორის ჩვენში აღსანიშნავია შავი ზღვის მაგნიტური (იშვიათი ლითონების — ვანადიუმისა და ტიტანის შემცველი) ქვიშები, რომელთა ტექნოლოგიური შესწავლა ამჟამად მიმდინარეობს, აგრეთვე ჩათახისა და ძამას საბადოები, რომელთა მარაგი საკმარისად დაზუსტებული არ არის.

მსუბუქი ლითონის — ალუმინის წარმოების განვითარებისათვის ყურადღების ღირსია ტყიბულის ფიქალები, საიდანაც მიიღება ჯერ ალუმინის ჟანგი, ხოლო ამ ჟანგიდან ელექტროლიზით თვით ალუმინი.

იშვიათი ლითონებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექსპლოატაციაში შემავალ კარობის მოლიბდენიტების საბადოს და მის ახლოს ახლახან აღმოჩენილ ვოლფრამის საბადოს. გარდა ამისა, იქვე მოიპოვება სტიბიუმის საექსპლოატაციო მნიშვნელობის საბადო.

სათბობის ბალანსი, დამუშავებული საქ. საგეგმო კომისიის მიერ, გვიჩვენებს, რომ 1942 წელს, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების რეკონსტრუქციის დამთავრების, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავებისა და ახალციხის მურანახშირის საბადოების ნაწილობრივ საექსპლოატაციოდ გადაცემის პირობებშიაც კი ქვანახშირის მოპოვების დასახული მოცულობა დააკმაყოფილებს მხოლოდ პირველ და მეორე ხუთწლედში აშენებული ან მშენებლობაში მყოფი ქარხნების წლიურ მოთხოვნილებას. ამიტომაც ამჟამად კოქსის და რკინის მადნის ბაზაზე მომუშავე მეტალურგიული ქარხნის აგების საკითხი მოხსნილად უნდა ჩაითვალოს ქვანახშირის ბალანსის დეფიციტიანობის გამო.

რკინეულობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სავსებით შესაძლებელია უბრძმედო მეტალურგიული ქარხნის აშენების გზით მშენებლობაში მყოფი აზოტის კომბინატის საკოქსე ღუმელებიდან მიღებული მდიდარი გაზების, ლითონების ადგილობრივი ნარჩენებისა და ნაწილობრივ ზღვით შემოტანილი თუჯის ბაზაზე. ამ ქარხნის რენტაბელური მუშაობა მოითხოვს მის სპეციალიზაციას ძირითადი მოთხოვნილების ტკეცზე, ხარისხოვან ლითონზე, ფურცლოვან რკინასა, სახურავ რკინასა და მავთულზე. აღნიშნულ საჭიროებათა მიხედვით, ქარხნის წარმადობას თუ ვარაუდად 220 ათას ტ. ლითონს ავიღებთ, წლიურად საჭირო იქნება 280 ათასი ტ. ზოდი ფოლადის გამოდნობა. ამის მისაღებად კი საჭიროა 240 ათასი ტ. ლითონური კაზმი — თუჯისა და ფოლადის ნარჩენები და თუჯის ზოდები. თუ მხედველობაში მივიღებთ ლითონის ნარჩენების რეალურ შესაძლებლობებს, აგრეთვე ფაქტიურ მომხმარებლებსაც (ფეროშენადნობთა, „ცენტროლიტის" და შმიდტის სახ. ქარხნები), საჭირო 240 ათასი ტონიდან სავსებით უზრუნველყოფილი იქნება 130 ათასი ტ. ლითონის ნარჩენებით და საჭირო იქნება 100-110 ათასი ტ. თუჯის ზოდების შემოზიდვა. როგორც გამორკვეულია, თუჯის ზიდვა 50 პროცენტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე იმავე რაოდენობის მზა რკინეული ტკეცილი ნაწარმისა. ამასთანავე აცილებული იქნება წლიურად 130 ათასი ტ. ლითონის ნარჩენების გადაგზავნა სსრ კავშირის სამრეწველო რაიონებში და იქიდან გადამუშავებული 220 ათასი ტ. რკინის ნაწარმის უკანვე შემოტანა. აღნიშნულის შედარებაც საკმარისია, რომ ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ახალი ქარხნის რენტაბელობაზე.

გარდა ამისა, მეტად ხელსაყრელი ხდება აღნიშნული ფოლადის სადნობ-სატკეცი ქარხნის მუშაობა აზოტის კომბინატის საკოქსე ღუმელებიდან გამოყოფილი გაზების ბაზაზე. ტყიბულის და ტყვარჩელის ქვანახშირის დაკოქსების დროს გამოყოფილი გაზებიდან ჯერ გამოჰყოფენ 50 პროც. წყალბადს და მას უერთებენ გამოყოფილ აზოტს, შემდეგ კოქსის გაზებიდან რჩება დაახლოვებით 105 მილ. კუბ. მეტ. მაღალკალორიული გაზი, რომლის ეფექტიური გამოყენება ხდება უმეტესად მეტალურგიაში.

მდიდარი გაზით ფოლადის დნობას ბევრი უპირატესობა აქვს. ამასთან ქარხანა აშენდება საქართველოს ძირითადი ენერგეტიკულ კვანძთან ახლოს, და ნამახვანის მძლავრი ჰიდროსადგურის აშენებით ამ ქარხნის ეფექტიურობა საგრძნობლად გაიზრდება.

ამგვარად, ფოლადის სადნობ-სატკეცი უბრძმედო მეტალურგიული ქარხანა, დააკმაყოფილებს რა ადგილობრივ მოთხოვნილებას ძირითად ლითონზე, უსათუოდ მეტად რენტაბელური იქნება.

გარდა ამისა, საქართველოს მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში წყალსადენ-კანალიზაციის სამუშაოთა უზრუნველსაყოფად აუცილებლად საჭიროა პროექტით გათვალისწინებული მილების სამსხმელო ქარხნის ან საამქროს აშენება „ცენტროლიტთან". საამისოდ გათვალისწინებულია ტერიტორია, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ კომისარიატის მიერ მექანიკური კონსტრუქციების ქარხანას ჰქონდა გადაცემული.

მსუბუქი ლითონების წარმოების პრობლემას ჩვენში რეალური საფუძველი აქვს, სათანადო წინასწარი სამუშაოებიც საკმაოდ არის გაწეული; ეს შესაძლებლობას გვაძლევს გავითვალისწინოთ ტყიბულის ფიქალების ბაზაზე აზოტის ქარხანასთან კომბინირებით ალუმინის ჟანგის ქარხნის აგება 10 ათასი ტონის წარმადობით, ხოლო ნამახვანის სადგურის აშენებასთან ერთად ალუმინის ელექტროლიზის ქარხნის აგება.

ინჟ. ალ. ხვიჩია.

ქ. თბილისის სერგო ორჯონიკიძის სახ. ქარხნის პარტკომის მდივანი ამხ. ზარათაშვილი ქარხნის კომუნისტებთან ატარებს თვითმომზადებას პოლიტმეცადინეობისათვის.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გ. ჟანჩაველი

ამერიკისა და საფრანგეთის ტუნგოს მეურნეობებში

ამასწინათ მე და საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მუშაკი ვ. ი. გვალია საზღვარგარეთ მივლინებიდან დავბრუნდით. ჩვენ ვიყავით ამერიკის სამხრეთი და შუა ზოლის ყველა შტატში და საფრანგეთში. დაწვრილებით გავეცანით ტუნგოს და ციტრუსოვან კულტურათა მეურნეობებს ფლორიდის, ჯორჯიის, ალაბამის, მისისიპის, ლუიზიანის, ტეხასისა და კალიფორნიის შტატებში.

ვიდრე შევუდგებოდე იმის აღწერას, თუ რა ვნახეთ ამერიკაში, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ძვირფას ხე ტუნგოზე.

სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ ტუნგოს იცნობდნენ მხოლოდ მის სამშობლოში — ჩინეთის პროვინციებში სიჩუანსა და ხუბეიში. ახლა კი არ მოიპოვება თითქმის არც ერთი მოწინავე ინდუსტრიული ქვეყანა, რომელიც დიდ ინტერესს არ იჩენდეს ამ უაღრესად ძვირფასი მცენარისადმი.

ტუნგოს ხე იძლევა უბრალო ტექნიკურ ზეთს. ტუნგოს ზეთზე დამზადებული ლაქები და საღებავები რამდენიმე საათის განმავლობაში შრება. ტუნგოს ზეთი იცავს ლითონებს კოროზიის გამანადგურებელი მოქმედებისაგან. მას იყენებენ დიდი მანქანების მშენებლობაში; იგი აძლევს ელექტროფოლადს განსაკუთრებულ გამძლეობას ტენისადმი, სიმკვიდრეს და სარკისებრ სიპრიალეს.

ტუნგოს ზეთს წარმატებით იყენებენ ტექნიკური ქსოვილებისა და რეზინის მრეწველობაში. მისი თვისებები განსაკუთრებით ძვირფასია გემების წყალქვეშა ნაწილების დასაცავად. ტუნგოს სამეურნეო გამოყენება წლითი-წლობით მატულობს, ამერიკელები მისი გამოყენების 900-მდე სახეს ითვლიან.

არსებული ცნობებით, ჩინეთის ნავსადგურებით — ხანკოუთი და ჰონკონგით ყოველწლიურად გააქვთ 90 ათას ტონაზე მეტი ტუნგოს ზეთი, ამასთან მარტო ამერიკას გააქვს 30 მილიონი დოლარის ღირებულებისა.

მას შემდეგ, რაც ამერიკაში დაწვრილებით გავეცანით ტუნგოს მეურნეობებს, ჩვენ გამოვარჩიეთ ტუნგოს 40 ტონა მაღალხარისხოვანი ნაყოფი, ჩამოვიტანეთ საქართველოში და დავთესეთ კოლმეურნეობებისა და „საქართველოს ჩაის" საბჭოთა მეურნეობების სანერგეებში. გარდა ამისა, ჩვენ შევისყიდეთ ავოკადოს (სუბტროპიკული ნაყოფი) ნერგი და თესლი.

ტუნგოს მეურნეობის შესწავლასთან ერთად ჩვენ დაწვრილებით გავეცანით მის ტექნოლოგიას. გავეცანით მუშაობის ყველა პროცესს ტუნგოს ქარხანაში ფლორიდის შტატის ქალაქ გეინსფილის მახლობლად, აგრეთვე ლუიზიანის შტატის ქალაქ ბოგალუზში.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისრის ამხ. ა. მიქოიანის დავალებით საქართველოში შენდება ტუნგოს სპეციალური ქარხანა.

ტუნგოს ხის თესლი ამერიკაში პირველად შეიტანეს ჩინეთიდან 1902 წელს და გაამრავლეს ამერიკის სამხრეთ შტატებში. ფლორიდის დედაქალაქ ტალახასის სასაფლაოზე ჩვენ ვნახეთ ყველაზე ძველი ხე, რომელიც დარგულია 1908 წელს. მეორე ასეთივე ხე ვნახეთ ჯორჯიის შტატის ქალ. კაიროში, ორივე ეს ხე კარგ მდგომარეობაშია და ნაყოფს ახლაც იძლევა.

ტუნგოს კულტურის ფართო სამრეწველო განვითარება ამერიკის შეერთებულ შტატებში შედარებით ცოტა ხნის (10-12 წლის) წინათ დაიწყო. ტუნგოს ნარგავების ფართობი, მიწათმოქმედების სამინისტროს ცნობებით უდრის დაახლოვებით 75.000 აკრს, ეს ფართობები სამხრეთ შტატებშია. ამჟამად განზრახულია ტუნგოს ნარგავების გაშენება ამერიკის შეერთებული შტატების შუა ზონაშიაც.

ამერიკის მრეწველობა დიდი რაოდენობით ხარჯავს ტუნგოს ზეთს, ამჟამად ამ ზეთის მოხმარება წელიწადში 120 მილიონ გირვანქას აღემატება.

ამერიკის მთავრობა ცდილობს შექმნას თავისი საკუთარი სანედლეულო ბაზა, რათა უზრუნველჰყოს ამ მხრივ თავისი დამოუკიდებლობა ჩინეთისაგან (1936 წლის 8 თვის განმავლობაში ჩინეთიდან შეტანილ იქნა 107 მილიონი გირვანქა). ამ მიზნით მთავრობა ეწევა ტუნგოს კულტურის ფართო პოპულარიზაციას ფერმერთა და მრეწველთა შორის და სუბსიდიებსაც იძლევა სამისოდ.

საბჭოთა კავშირში ტუნგოს კულტურის სამრეწველო განვითარებას მხოლოდ 6-7 წლის წინათ შევუდექით. დასავლეთ საქართველოს რაიონებში ამჟამად უკვე გაშენებულია 10.000 ჰექტარზე მეტი ტუნგოს ნარგავები.

ახლა ტუნგოს ხეს უკვე კოლმეურნეებიც აშენებენ. მათ იციან ამ კულტურის მაღალი ღირებულება და დიდი ინტერესით ეკიდებიან მას. კარგი მოვლის პირობებში ტუნგო მსხმოიარებას იწყებს უკვე მე-4-5 წელს, ხოლო 8 წლიდან იძლევა 160 კილომდე შემოსულ კაკალს თითო ხეზე. ტუნგოს ხის პირველი პლანტაცია გაშენდა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში თესლიდან გამოყვანილი ნერგებით — 4 ჰექტარ ფართობზე. ეს თესლი 1930 წელს იაპონიიდან გამოგზავნა აგრონომმა ხატიაშვილმა. შემდეგ კი ტუნგოს პლანტაციები გაშენდა სპეციალურ საბჭოთა მეურნეობებში — ჯიხანჯურში, მოქვაში და სხვ. ამავე დროს ტუნგო მოჰყავთ საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, როგორც ჩაის თანამგზავრი კულტურა. მეორე ხუთწლედში ტუნგოს ნარგავების გაშენების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1940 წელს მივიღებთ 5.130.000 კილო მოსავალს, აქედან 769.500 კილო ტუნგოს ძვირფას ზეთს.

ჩვენი სუბტროპიკები მდიდარია მრავალი მცენარით, რომელთა ყვავილი გადამუშავებისას უნაზეს კონცენტრირებულ სურნელებას იძლევა: ტუბეროზა, იასამანი, მიმოზა, აზალია, გერანი, ვარდი, ლიმონის სორგო, ევკალიპტები და მრავალი სხვა. იმ სურნელებათა მთელი გამა, რომლებიც გავრცელებულია ევროპის, აზიის, ამერიკისა და ქვეყნიერების სხვა ნაწილთა სუბტროპიკებში, ჩვენ შეგვიძლია მთლიანად შევქმნათ და ნაწილობრივ უკვე შევქმენით სსრ კავშირში.

ეთეროვანი ყვავილები, დამშვენების გარდა, გადამუშავების შემდეგ ეთეროვან ზეთებს იძლევიან. ეს უაღრესად ძვირფასი ზეთები აუცილებელ ნედლეულს წარმოადგენენ მრეწველობის მთელი რიგი დარგებისათვის. ეთეროვანი ზეთების წარმოება ესაჭიროება პარფიუმერიისა და საპნის მრეწველობასაც, საკონდიტრო მრეწველობასაც, თამბაქოს ფაბრიკებსაც და მრავალ სხვა წარმოებას. ეთეროვანი მცენარეები აუცილებელია სამკურნალო-სანიტარული მომსახურებისთვისაც.

ჩვენ სრული უფლება გვაქვს სიტყვა „ეთეროვანი" ახალ საბჭოთა სიტყვების რიცხვს მივაკუთვნოთ. რევოლუციამდე ამ სიტყვას იცნობდნენ ერთი მუჭა უცხოელები, რომელთა მეშვეობითაც რევოლუციამდელ რუსეთში ეთეროვანი ზეთები შემოჰქონდათ. ამას ყოველწლიურად 5 მილიონ მანეთზე მეტი სჭირდებოდა ოქროთი.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში მარტო უბრალო სათაიგულე ვარდები როდი იზრდება. გადამუშავების შემდეგ ჩვენებური ვარდი იძლევა უაღრესად ძვირფას ვარდის ზეთს. ეს ზეთი რევოლუციამდე კილო 1.000 მან. ფასობდა ოქროთი.

ივლისში მთის ფერდობები დაფარულია ნაზი-ცისფერი ყვავილებით. ეს არის ლავანდა, რომელიც ჯერ კიდევ ცოტახნის წინათ საფრანგეთის მონოპოლიას წარმოადგენდა. ლავანდის ზეთი, რომელიც მეტად სასიამოვნო სუნით გაირჩევა, მრავალი პარფიუმერული ნაწარმის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ის 5-6 ათასი კილო, რაც უკვე მზადდება ჩვენს ნორჩ პლანტაციებში, თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას.

ტუნგოს მეურნეობისა და ტექნოლოგიის გაცნობისა და შესწავლის გარდა, ჩვენ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახკომისარიატის დავალებით, დიდი ყურადღება მივაქციეთ ამერიკაში ყვავილთა გადამუშავების შესწავლას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით სერიოზულ ყურადღებას აქცევენ ყვავილთა, დეკორატიულ მცენარეთა და ბოსტნეულ კულტურათა სათესლე საქმის ორგანიზაციას. ამერიკაში არსებობს დიდი ფირმები, რომლებიც სპეციალურად მისდევენ თესლის დამზადებას, გაწმენდას, დახარისხებას, შეფუთვას, აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობას. ამ ფირმებს აქვთ საკუთარი ქარხნები, საკუთარი სათესლე მეურნეობანი, აგრეთვე ფერმერებთან დაკონტრაქტებული მეურნეობებიც. ჩვენ გავეცანით ყველაზე დიდ და ცნობილ ფირმებს. დავათვალიერეთ და შევისწავლეთ პენსილვანიის შტატისა და ფილადელფიის უდიდესი ფირმა. ამ ფირმას დიდი ფაბრიკა აქვს, სადაც ყველა საწარმოო პროცესი მექანიზებულია. ფაბრიკაში ყვავილისა და ბოსტნეულის თესლის დიდი ასორტიმენტი აქვთ — ყვავილთა 1.970 სხვადასხვა სახისა, და ბოსტნეულის 619 სახისა.

ფაბრიკის ძირითადი განყოფილებებია: მიღებული თესლის შესანახი, გასაწმენდი, საფუმიგაციო, ასაწონი და შესაფუთავი, სადაც დადგმულია მანქანები და ავტომატები.

თესლის ასაწონი და შესაფუთავი ავტომატი ერთ საათში უშვებს 3.000 პატარა პაკეტს საცალო ვაჭრობისათვის.

ერთერთი ყველაზე საინტერესო განყოფილებათაგანია კორესპონდენციისა და შეკვეთების განყოფილება. ეს განყოფილება ყველაზე დიდია. იქ მუშაობს 150 კაცი, რომლებიც მომსახურებას უწევენ მილიონნახევარ შემკვეთელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

ფაბრიკის სტამბასა და ლითოგრაფიაში იბეჭდება კატალოგები და ფურცლები, სადაც აღწერილია თესლის ცალკეული ჯიშთა აგროტექნიკა. ეს კატალოგები და ფურცლები თესლიდან ერთად ეგზავნება მყიდველს.

საზღვარგარეთ მივლინებაში ჩვენ 5 თვეზე მეტი დავყავით. მოგზაურობამ ძალიან ბევრი ძვირფასი გამოცდილება შეგვძინა ჩვენს მეურნეობებში გამოსაყენებლად.

ყოველივე ის, რაც ამერიკასა და საფრანგეთში ვნახეთ ტუნგოს და ეთეროვანთა მეურნეობის დარგში, ჩვენც გვექნება. ჩვენი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს მტკიცე ნებისყოფა, ორგანიზაციული და შრომითი ენტუზიაზმი, ლენინ-სტალინის პარტიის გულისხმიერი და მზრუნველი დამოკიდებულება იმის უტყუარი თავდებია, რომ ეს ამოცანა მოკლე ხანში წარმატებით გადაიჭრება და მზიური ორდენოსანი საქართველოს სუბტროპიკების უმდიდრესი ბუნებრივი პირობები მთლიანად იქნება გამოყენებული.

◆

მსუბუქი მრეწველობის აქტივის კრებაზე

3 ივლისს დამთავრდა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის აქტივის თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ქარხანა-ფაბრიკების დირექტორები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მუშა-სტახანოველები, მეგეგმე-ეკონომისტები და სხვ.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის 5 თვის მუშაობის შედეგების და მავნებლობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის შესახებ აქტივმა მოისმინა საქ. მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის ამხ. მ. ძიძიგურის მოხსენება.

მოხსენების შესავალ ნაწილში ამხ. ძიძიგურმა ილაპარაკა იმ აღმაშფოთებელი მავნებლობის შესახებ, რომელსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ეწეოდნენ ხალხის მტრები ბ. მდივანი, გ. ყურულოვი, დ. მახარაძე, დ. რუხაძე, მანჯგალაძე და სხვ. ამ მავნებლობის შედეგები ჯერ კიდევ სავსებით აღმოფხვრილი არ არის. მეორე მხრივ, საქ. მსუბუქი მრეწველობის ხელმძღვანელობამ ახლებურად ვერ გარდაჰქმნა მუშაობა და ცხოვრებაში ვერ გაატარა ის პრაქტიკული მითითებანი, რომლებიც მას ამხ. ლ. ბერიამ საქ. კ. პ. (ბ) X ყრილობაზე მისცა.

როგორც მოხსენების მეორე ნაწილიდან გამოირკვა, საქ. მსუბუქ მრეწველობას პირველ კვარტალში დიდი გარღვევები ჰქონდა. მდგომარეობა არც მეორე კვარტალში გაუმჯობესებულა. ხუთი თვის განმავლობაში საქ. მსუბუქმა მრეწველობამ ქვეყანას დააკლო 4,133 ათასი მანეთის პროდუქცია.

ცუდი მდგომარეობაა პროდუქციის ხარისხის მხრივაც. თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკაში წუნდებული პროდუქცია საერთო გამოშვების 30 პროცენტს შეადგენს. თბილისის მაუდის ფაბრიკამ პირველი ხარისხის ნაქსოვის ხვედრითი წონა საგრძნობლად შეამცირა. აქ ცუდადაა დაყენებული ნაქსოვის შეღებვაც.

აბრეშუმის ძაფსახვევმა ფაბრიკებმა სამარცხვინოდ ჩაშალეს სატისაჟო კლასების გრეჟის გამოშვების გეგმა: სატისაჟო კლასების გრეჟის გამოსავლიანობა შეადგენდა მხოლოდ 55 პროცენტს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 65 პროცენტისა.

აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა შორის ჯერ კიდევ დიდი გასავალი აქვს მავნებლურ თეორიებს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ჩვენი აბრეშუმის პარკიდან სატისაჟო კლასების გრეჟის გამოსავლიანობის გადიდება. ასეთ აზრს ქადაგებს ინჟ. ჩომახიძე. მასვე ეკუთვნის „თეორია", რომლის მიხედვით სატისაჟო კლასების გრეჟის მიღების უზრუნველსაყოფად ვითომდა საჭირო იყოს წარმოების პროცესში მუშაობის შენელება. მავნებლურმა „თეორიებმა" და მისმა ავტორმა აქტივის საკადრისი შეფასება მიიღეს.

ძალიან სუსტია საქ. მსუბუქი მრეწველობის დანარჩენ დარგების მუშაობაც.

ტყავის გადამმუშავებელი წარმოების ხელმძღვანელობას თავისი საქმიანობა დაუმყარებია ლოზუნგზე: „მე ჩემთვის, შენ შენთვის". ამის შედეგად, ტყავ-ფეხსაცმლის დარგობრივი სამმართველო, ამხ. ზ. გარდავას მეთაურობით, მოსწყდა ფაბრიკა-ქარხნების საწარმოო ცხოვრებას. ის ნაკლებად ზრუნავს წარმოების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებაზე. არც ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს და ტექნიკურ ხელმძღვანელობას აინტერესებს ეს საკითხი. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ ტყავის ქარხნებში ტყავის საწმენდი მანქანები დაჟანგულია, მათ არავინ უვლის, ქარხნებში არსად არის დაცული წარმოების კონვეიერული სისტემა, არ სრულდება საწარმოო გეგმები და სხვ.

კონტროლის შესუსტებამ და თვითმდინარეობაზე დაყრდნობამ გამოიწვია ის, რომ ტყავმარაგგასაღების სისტემაში გამეფებულა სახელმწიფო ქონებისადმი ყოვლად უმსგავსო დამოკიდებულება; აქ არის ხოლმე ტყავის დამზადების მიზნებისათვის დანიშნული სამრეწველო საქონლის ფონდების კერძო პირებზე უკანონოდ გაცემის შემთხვევები.

უკეთესი მდგომარეობა არც სამკერვალო მრეწველობაში გვაქვს. სამკერვალო წარმოების დარგობრივი სამმართველო არ ხელმძღვანელობს მის სისტემაში შემავალი ფაბრიკების მუშაობას. მას აქამდე ვერ მოუხერხებია თავის სისტემაში ტანსაცმლის ფასონების განმხილველი სამხატვრო საბჭოს ჩამოყალიბება. პოლიტიკურ უდარდელობას და მმართველობის მახინჯ ბიუროკრატიულ მეთოდებს სამკერვალო მრეწველობის დარგობრივ სამმართველოში მაგრად გაუდგამს ფესვები. სამმართველოს ხელმძღვანელობა და პირადად ამხ. თუშიშვილი ვერ იბრძვის მავნებლობის შედეგების სალიკვიდაციოდ და მუშაობის გარდასაქმნელად პარტიის X ყრილობის მითითებათა საფუძველზე. აქტივის კრებაზე ამხ. თუშიშვილი ამაოდ ცდილობდა თავი მოეჩვენებინა ისეთ ადამიანად, რომელმაც პირველად გაშალა ბრძოლა საქ. მსუბუქ მრეწველობაში მოკალათებულ მავნებელთა წინააღმდეგ. თავისი გამოსვლით ამხ. თუშიშვილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მას მუშაობის გადახალისების არც უნარი აქვს და არც მონდომება.

ჩამორჩენილია კაპიტალური მშენებლობაც. ტროცკისტ მავნებლებს განსაკუთრებით აქ განუვითარებიათ თავიანთი საზიზღარი საქმიანობა. ამ მავნებლობის შედეგები დღემდის აღმოფხვრილი არ არის. მშენებლობა ყველგან ჭიანურდება (ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საცხოვრებელი სახლი, ამავე კომბინატის სააპრეტურო-სამღებრო საამქრო, თბილისის მაუდის ფაბრიკის საცხოვრებელი სახლი, სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობა და სხვ.). თითქმის ყველგან დიდი გადახარჯვებია დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კრებაზე გამოსულთა დიდი უმრავლესობა კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა „სხვის" მუშაობას, თვითკრიტიკას კი ნაკლები ადგილი ჰქონდა დათმობილი. ეს მოსჩანდა ამხ. ძიძიგურის მოხსენებაშიც. მან სრულიად სამართლიანად გააკრიტიკა დარგობრივ სამმართველოთა და ცალკე საწარმოების ხელმძღვანელთა საქმიანობა, ხოლო თვით კომისარიატის ცენტრალური აპარატის უხეირო მუშაობის შესახებ არაფერი უთქვამს. მან არაფერი სთქვა, მაგალითად, საგეგმო განყოფილების „მუშაობის" შესახებ, იმის შესახებ, რომ ეს განყოფილება ძალიან აგვიანებს კვარტალური გეგმების დამუშავებას და ცალკე დარგობრივ სამმართველოებამდე და ფაბრიკა-ქარხნებამდე მათი დაშვების საქმეს. კამათში გამოსული ამხანაგები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათ დღემდის მიღებული არა აქვთ მესამე კვარტალის ლიმიტები. ამხ. ელიავა კი, რომელმაც თავისი სიტყვის დიდი ნაწილი კომისარიატის საფინანსო მდგომარეობის გაშუქებას მოანდომა, ამაოდ ცდილობდა უხეირო საგეგმო მუშაობის გამართლებას.

კრების დასასრულს ამხ. დარახველიძე და რამიშვილი დაწვრილებით შეჩერდნენ საქ. მსუბუქი მრეწველობის მიერ განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის სუსტ მხარეებზე და აღნიშნეს ის ძირითადი საბრძოლო ამოცანები, რომელთა დაუყოვნებლივი გადაჭრა წარმოადგენს საქ. მსუბუქი მრეწველობის მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

დ. როდონაია.

◆

ცაგერ-წყალტუბოს გზატკეცილი

(ცაგერი, „კომუნისტის" საკ. კორ.)

რა სიხარული, რა აღტაცება განიცადა ლეჩხუმის მშრომელმა მოსახლეობამ, როცა თავის მწვანე, ხავერდოვან მთებში პირველად გაიგონა ავტომანქანის ხმა!

ეს იყო 1926 წელს. მაშინ ასრულდა ლეჩხუმის მშრომელთა დიდი ხნის ნატვრა—საავტომობილო გზით დაკავშირებოდნენ მეზობელ რაიონებს.

ამ სასიხარულო თარიღიდან 10 წელი გავიდა. ბევრი რამ ახალი გაკეთდა ლეჩხუმში. ლეჩხუმელი გლეხის ცხოვრება საკოლმეურნეო ცხოვრებამ გამოსცვალა, ახლებურად გარდაჰქმნა, ბედნიერი და სასიხარულო გახადა იგი.

იმ დიდმა ძვრებმა, რომელიც ცაგერისა და ქვემო-სვანეთის რაიონების ცხოვრებაში მოხდა, ერთიათად გაზრდილი მოთხოვნები წაუყენეს საავტომობილო ტრანსპორტსაც.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? აშკარად უნდა ითქვას, რომ მეტად სავალალო.

ალპანა-ცაგერის გზა, რომელიც ცაგერისა და ქვემო-სვანეთის რაიონებს ქ. ქუთაისთან აკავშირებს, ამჟამად სავსებით გამოუსადეგარია ავტო მიმოსვლისა და ჭაპანზიდვისათვის. ხოლო ამ ორი რაიონის შემდგომი ზრდა, თუ კარგი საჭაპანო და სამიმოსვლო გზა არ ექნათ, ყოვლად წარმოუდგენელია. არსებული გზა შედარებით კარგია მხოლოდ ორბელის სასოფლო საბჭომდე, აქედან კი, განსაკუთრებით ავდარში, მიმოსვლა თითქმის აღარ შეიძლება. ამის გამო ცაგერის და ქვემო-სვანეთის რაიონებს ბევრჯერ დაჰკლებია პირველი მოთხოვნილების საქონელი (ნავთი, მარილი) და დიდი უხერხულობა შექმნილა ჟურნალ-გაზეთების მიღების შეწყვეტით.

ამ გარემოებამ ცაგერის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე დიდი ხანია სერიოზულად დააყენა უფრო უკეთესი მიმართულებით ახალი გზის გაყვანის ამოცანა. ამ მიმართულებად ცნობილ იქნა ცაგერი-წყალტუბო. 1932 წელს კიდეც დაიწყო ამ გზის მშენებლობა. მოსახლეობა დიდი აღტაცებით გამოვიდა სამუშაოდ. გაიყვანეს კიდეც 18 კილომეტრზე.

დარჩა მეტად ძნელი სამუშაო — სარეწკელას კლდის გაჭრა (ორ-ნახევარი კილომეტრი) და ოთხამდე ხიდის აგება, რაც დიდ თანხას და სპეციალურ მუშახელს მოითხოვს; ამის საშუალება კი რაიონს არ მოეპოვება.

ეს საკითხი 1936 წელს ცაგერის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასვეს საქართველოს უმაღლესი ორგანოების წინაშე და მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულ იქნა 130.000 მანეთი. გამოიგზავნა გზატკეცილების სამმართველოს საკვლევო პარტია, რომელმაც დაასრულა გზის დაპროექტებისათვის საჭირო წინასწარი საველე სამუშაოები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ განუწყვეტელი, ინტენსიური პრაქტიკული მუშაობის დაწყება სარეწკელას კლდის გაჭრისათვის ძალზე იგვიანებს. წლის პირველმა ნახევარმა უკვე განვლო, ხოლო გზის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ჯერაც არ არის შედგენილი.

ყოვლად შეუწყნარებელია ამ გზის მშენებლობის დაგვიანება. მის გაყვანას დასავლეთ საქართველოს ბევრი რაიონისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს შინსახკომის გზატკეცილების სამმართველომ ცაგერ-წყალტუბოს გზის მშენებლობას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს.

გ. ყურაშვილი.

აგრონომთა ახალი კადრები

პროფ. ა. ბუაჩიძე

საქ. სას.-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი

განუწყვეტელი აღმავლობის გზაზე დამდგარი სოფლის მეურნეობა თავისი მრავალფეროვანი დარგებით ყოველწლობით მოითხოვს უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სულ ახალ-ახალ კადრებს.

ამ კადრების მომზადებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პასუხსაგებ როლს საქ. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ასრულებს. იგი საბჭოთა სოფელს ყოველწლიურად აწვდის მინდვრის, ბაღ-ვენახების, მეაბრეშუმეობის, სუბტროპიკების და სხვა დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს.

წელსაც საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა ჩვენი ინსტიტუტიდან ღებულობს 159 სხვადასხვა სპეციალობის მაღალკვალიფიციურ აგრონომს. ამ რიცხვიდან 60 კაცი მებაღე-მევენახეა, 45—მემინდვრე, 23—მეაბრეშუმე, ხოლო სუბტროპიკული კულტურებისა და ტექნოლოგიისათვის ჩვენ მოვამზადეთ 131 სპეციალისტი.

ყოველწლობით იზრდება ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ხარისხი, რაც თავის მხრივ ინსტიტუტის მუშაობის გაუმჯობესებასაც მოწმობს. წლევანდელი გამოშვებიდან 208 კაცმა ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები. დიპლომანტები სათანადო ცოდნასა და მომზადებას იჩენდნენ. სახელმწიფო გამოცდები ფრიადზე ჩააბარა კურსდამთავრებულთა 21 პროცენტმა (45 კაცმა), რომელთაც მიენიჭათ აგრონომის წოდება და მიეცათ პირველი ხარისხის დიპლომები. ესენი არიან: გ. ანთაძე, ლ. ლომაძე, ვლ. კინწურაშვილი, ვალ. სალია, დ. ჭანტურია, ირ. ზედგინიძე, სიმ. დეკანოსიძე, ს. კობერიძე, დ. ცხომარია, ი. შუბლაძე, ნ. ცაავა, ელ. ჩანკაშვილი, ნ. გოგუაძე, ლ. კვარაცხელია, გ. კაპანაძე, ელ. გოგელია, ოლ. ოზიაშვილი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ინსტიტუტის ამ გამოშვებას სწავლის დაწყება მოუხდა 1932 წელს, ესე იგი მაშინ, როცა საკავშირო ცაკმა ცნობილი 19 სექტემბრის დადგენილება გამოიტანა. როგორც ვიცით, ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებამ გამოასწორა მანამდის არსებული ნაკლოვანებანი, ძირეულად შესცვალა სწავლების საქმე და ის სავსებით სწორ ნიადაგზე დააყენა. ამ გამოშვებას მოუსწრო აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს ღირსშესანიშნავმა დადგენილებამ უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობისა და მუშაობის გარდაქმნის შესახებ, რამაც უდავოდ დიდად იმოქმედა კურსდამთავრებულთა ხარისხზე და ეს გამოშვება სხვათაგან განასხვავა. კურსდამთავრებულები 5 წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად და ბეჯითად ეუფლებოდნენ აგრონომიული მეცნიერებისა და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს, იარაღდებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიითა და მასთან ერთად ღებულობდნენ საწარმოო პრაქტიკას ძირითად, პროფილის განმსაზღვრელ საგნებში. ეს გარემოება მათ გაუადვილებს იმ მეტად რთულ და პასუხსაგებ მუშაობას, რომლისთვისაც ისინი ემზადებოდნენ. მაგრამ მათ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადის, დიდი სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ „კადრების ნამდვილი წრთობა ხდება ცოცხალ სამუშაოზე, სკოლის გარეთ, სიძნელეებთან ბრძოლისას, სიძნელეების გადალახვისას. მხოლოდ ის კადრებია კარგი, რომლებსაც არ ეშინიათ სიძნელეების, დაბრკოლებების და მათ ლახავენ, ლიკვიდაციას უშვრებიან“.

დიდი ბელადის ამ მითითების თანახმად და საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის კიდევ მეტად აყვავებისათვის ამ მომავალმა მუშაკებმა თავისი მუშაობის გაშლილ პროგრამად უნდა გაიხადონ საქართველოს ბოლშევიკების ნაცადი ხელმძღვანელის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხ. ლ. ბერიას მიერ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მე-5 პლენუმზე და პარტიის მე-10 ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებანი, სადაც ნათლად არის მოცემული ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და აყვავების გზები. ამ მოხსენებებში დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის უნდა იბრძოლოს თვითეულმა კურსდამთავრებულმა.

თვითეული კურსდამთავრებული ყოველთვის უნდა სცდილობდეს ინსტიტუტში მიღებული თეორიული ცოდნა, საწარმოო პრაქტიკაზე მიღებული პრაქტიკული გამოცდილება დაუკავშიროს ჩვენს მდიდარ სოციალისტურ მშენებლობას, გააღრმაოს, შეავსოს და განავითაროს ის. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ საჭიროა უფრო მეტად დაეუფლონ ბოლშევიზმს, გაამახვილონ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე, რათა ყოველთვის და ყველა პირობებში შესძლონ პარტიისა და ხალხის შენიღბული მტრების, იაპონელ-გერმანელ ფაშისტთა ჯაშუშების, ტროცკისტ - ბუხარინელთა ბანდის არამზადა ნაბოლარების დროულად გამოცნობა და მათი საბოლოოდ განადგურება.

კურსდამთავრებულებმა არ უნდა დაივიწყონ ამხანაგ ლ. ბერიას მითითება, რომ „ისინი ჯერ კიდევ ცოტანი როდი დარჩნენ და ტროცკისტთა, მენშევიკთა და ყველა სხვა ჯაშუშ-მავნებელთა და დივერსანტთა ელემენტების ეს ნიღაბაფარებული ნაშთები ჩვენ ბოლომდე უნდა გამოვამჟღავნოთ და ბოლო მოვუღოთ მათ“.

დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ახალგაზრდა აგრონომები, საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აყვავების ახალგაზრდა ორგანიზატორები ღირსეულად გაამართლებენ იმ ნდობას და იმედს, რომელსაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება, ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა მათზე ამყარებს.

ფერადი ლითონის ნარჩენთა შეგროვება

თბილისში დაარსდა ტრესტ „ცვეტმეტლომის“ კანტორა, რომელსაც დაკისრებული აქვს შეუდგეს მოსახლეობაში ფერადი ლითონების ნარჩენებისა და ნამსხვრევების შეგროვებას.

საზოგადოებრივი, კოოპერატიული და სახელმწიფოებრივი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელთ აკრძალული აქვს შეისყიდონ ფერადი ლითონის ნამსხვრევები და ნარჩენები მოსახლეობაში. ამ ნამსხვრევების შეძენის მონოპოლიური უფლება „ცვეტმეტლომის“ თბილისის კანტორას აქვს მინიჭებული.

საბინაო ამხანაგობებსა და ცალკეულ სახლთმფლობელობებში ფერადი ლითონების ნარჩენთა შესაგროვებლად შერჩეული იქნებიან სპეციალური პირები.

თბილისში ჩამოვიდნენ საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის დელეგატები, რომლებიც მოგზაურობენ საბჭოთა კავშირში სამეცნიერო დაწესებულებათა გეოლოგიური მუშაობის გასაცნობად.
სურათზე: კონგრესის დელეგატთა ერთი ჯგუფი. ფოტო ბუდიშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

სამისამართო ვაკხანალია

კაცი მივიდა სამისამართო მაგიდაში და მისთვის საჭირო მისამართი აიღო. „შრომის ქ., № 5“.

სად არის შრომის ქუჩა?

— საბურთალოზე, ლენინის რაიონში... კიდევ სხვა რაიონებშიც. ახლა საკითხავია რომელ შრომის ქუჩაზე უნდა წავიდეს ეს მოქალაქე, რომ ნაცნობ კაცს მიაგნოს—საბურთალოზე, თუ ლენრაიონში?

თბილისში 15 ქუჩაა ერთ და იმავე სახელწოდებისა. თბილისის ქუჩებში, როგორც ეს სპეციალურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, 27 სახლია ისეთი, რომლებიც ერთდაიმავე ქუჩაზე მდებარეობენ და ერთი და იგივე ნომერი აქვთ. მაგალითად, სამხედრო ქუჩაზე ორი სახლია და ორივეს აქვს „№ 3“. ასევეა ჭონქაძის, ორჯონიკიძის და მთელ რიგ სხვა ქუჩებზე.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ამ არევდარევას. რაისაბჭოებს წინადადება აქვთ მიცემული ერთ თვეში მოაწესრიგონ სახლების გასაგებად დანომრვა და ქუჩებისათვის ცალკე სახელწოდებების დარქმევა.

◇

ახალი წიგნები

გამოვიდა პარტგამომცემლობის შემდეგი წიგნები:

ი. სტალინი — საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებისათვის, ა. ვიშინსკი — ტროცკისტ - ფაშისტმზვერავთა მავნებლურ - დივერსიული მუშაობის მეთოდები.

საქ. ალკკ ორგანიზაციების მომზადება საბჭოების არჩევნებისათვის ახალი საარჩევნო სისტემით და კომკავშირში პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებანი.

გეოლოგიური კონგრესის მონაწილენი თბილისში

მეცნიერები გაემგზავრნენ ჭიათურასა და სომხეთში.

6 ივლისს დილით კავკასიის ექსკურსიის მონაწილეებმა—მე-17 საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის წევრებმა, რომლებიც თბილისში წინა დღეს ჩამოვიდნენ, თბილისში დაათვალიერეს დიდი გეოლოგიური გამოფენა, მათი ჩამოსვლისათვის რომ მოაწყეს მუზეუმის შენობაში საქართველოს გეოლოგიურმა საზოგადოებამ და საქართველოს მუზეუმმა.

სტუმრებს ძალიან მოეწონათ გამოფენა. დელეგატების ყველაზე დიდი ყურადღება მიიპყრო მხარის საერთო გეოლოგიურმა აღნაგობამ, ნავთოვანი და მარგანეცის რაიონების ექსპონატებმა, აგრეთვე ძირულის მასის პეგმატიტურმა შიპებმა გეოლოგიური და პეტროგრაფიული მხრით და საშენმა მასალამ.

საქართველოს მუზეუმიდან მეცნიერები გაემართნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დიდი ყურადღებით ეცნობოდნენ გეოლოგიური ინსტიტუტის გამოფენა-მუზეუმის ექსპონატებს.

საღამოს კონგრესის დელეგატებისათვის ხელოვნების საქმეთა რესპუბლიკურმა სამმართველომ საქფილეგთის საზაფხულო თეატრში მოაწყო კონცერტი. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გუნდების გამოსვლამ, რომლებიც ასრულებდნენ მთელ რიგ საკოლმეურნეო, ხალხურ და ყოფაცხოვრებითი სიმღერებსა და ცეკვას, დამსწრეებზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა. შემსრულებლებს აჯილდოვებდნენ ხანგრძლივი ტაშით.

6 ივლისს ღამით კავკასიის ექსკურსიის მონაწილეთა ჯგუფი გაემგზავრა ჭიათურაში, საიდანაც გაემგზავრება რესპუბლიკის მთიან რაიონებში. 7 ივლისს დილით მეორე ჯგუფი გაემგზავრა სომხეთში. (საქდესი).

კასპის ცემენტის ქარხანაში

სტალინის სახელობის კასპის ცემენტის ქარხანაში მავნებლურად ფერხდებოდა გეგმების შესრულება. ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა 61 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნახევარფაბრიკატის გამოშვებისა — 72,2 პროცენტით. მეორე კვარტალში მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 75 პროც. ნახევარფაბრიკატისა კი—98 პროცენტით.

ქარხნის ახალმა ხელმძღვანელობამ ფართოდ გაშალა მუშაობა მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. დაიწყო მთელი რიგი დანადგარების (ცემენტის წისქვილი, ესკავატორი, საჰაერო ხაზი და სხვ.) შეცვლა და შეკეთება. აგრეთვე მთავრდება ღუმელების შეკეთება (საქდესი).

◇

ახალი ამბები

○ **საქ. ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებით** განთავისუფლებულნი არიან ს. ორჯონიკიძის სახ. თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის მიერ გამართულ სანახობებსა და გასართობებზე მიმსვლელნი გადასახადის იმ ნაწილისაგან, რომელიც მიიქცევა ადგილობრივ ბიუჯეტში.

○ **ფ. მახარაძის სახელობის თბილისის** საგარეუბნო კოლმეურნეობამ ააგო საზაფხულო კლუბი, რომელიც 600 კაცს დაიტევს. კლუბი 12 ივლისს გაიხსნება.

○ **ხელოვნების საქმეთა სამმართველომ** გახსნა მიღება სახ. არტისტ კომპ. ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულ ინსტრუმენტალურ - ვოკალურ კაპელაში. კაპელაში მიიღებიან მხოლოდ ქალები. ხმების გასინჯვა სწარმოებს კომპ. ფოცხვერაშვილის ბინაზე, რუსთაველის პროსპ. № 30.

◇

ძროხამ ორი ხბო მოიგო

ადიგენის რაიონის სოფელ არალის კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრის სიმონ ბათმანაშვილის ძროხამ მოიგო ორი ნორმალური სახარე ხბო, ძროხა ადგილობრივი ჯიშისაა. რაიონის ვეტექიმს დავალებული აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ამ ხბოებს.

პ. გოჩიკაშვილი.

◇

ახალი ფარმაცევტული ქარხანა

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ ქიმიური და ფარმაცევტული მრეწველობის საკავშირო ტრესტი საქართველოში იწყებს ახალი ფარმაცევტული ქარხნის აგებას. ამ ქარხანაში უნდა გამომუშავდეს ძვირფასი საფარმაცევტო პროდუქტი—კოფეინი.

ქარხნის ასაგებ ადგილად შერჩეულია ზუგდიდი. ქარხანა იმუშავებს უმთავრესად ჩაის ფაბრიკებიდან მიღებული ნარჩენების გადამუშავებაზე და ყოველწლიურად გამოუშვებს 15 ტონა კოფეინს.

ქარხნის ასაგები მიწის ნაკვეთი გამოყოფილია. მშენებლობას მიმდინარე თვეში დაიწყებენ. ქარხნის აგება 6 მილიონი მანეთი დაჯდება. მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნულია საქართველოს ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის სამმართველოს უფროსი ამხ. დ. გიორგობიანი.

„ახალი ქუთაისი“

ბროწეულა-წყალტუბოს რკინიგზის ახალი შტოს გაყვანასთან დაკავშირებით ქუთაისში აშენდა ახალი სარკინიგზო სადგური, რომელსაც „ახალი ქუთაისი“ უწოდეს.
სურათზე: სადგ. „ახალი ქუთაისი“. ფოტო რ. აკოფოვისა

შ. რუსთაველის იუბილე

საზეიმო სხდომის მხატვრული პროგრამა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის რესპუბლიკურმა საიუბილეო კომიტეტმა მიიღო იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის სალიტერატურო განყოფილების საორიენტაციო პროგრამა.

ამ განყოფილებაში წაკითხული იქნება ადგილები „ვეფხის ტყაოსნიდან“ და რუსთაველისადმი მიძღვნილი ნაწარმოებები.

დეკლამატორებად შერჩეული არიან: სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვ. კაჩალოვი, აკ. ვასაძე, აკ. ხორავა, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ნუცა ჩხეიძე, უშ. ჩხეიძე, ვ. ფაფაზიანი, დამსახურებული არტისტი ვ. ანჯაფარიძე, მსახიობები გოგოლევა და რ. ულვი.

თანამედროვე პოეტები სხვადასხვა ენებზე წაიკითხავენ რუსთაველისადმი მიძღვნილ საკუთარ ნაწარმოებებს.

ხალხური მთქმელები წაიკითხავენ პოემის ტექსტსა და ხალხურ ვარიანტებს.

შესრულებული იქნება ხალხური ლექს-სიმღერები ხალხურ ინსტრუმენტებზე (გუდა-სტვირი, ჩანგი, ფანდური და ჩონგური).

გამოვლენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები.

მუსიკალურ ნაწილში შესრულებული იქნება კომპ. გ. კილაძის მიერ სპეციალურად დაწერილ ნაწარმოებზე სოლოები, გუნდური სიმღერები და ორკესტრი. წარმოდგენილი იქნება ერთი აქტი კომპ. შ. მშველიძის ოპერიდან „ვეფხისტყაოსანი“ და ორკესტრი შეასრულებს აპოთეოზს კომპ. დ. არაყიშვილის ოპერა „შოთა რუსთაველიდან“.

◇

გრეიფრუტი და ანანასები

ფოთი, 5 ივლისი (საქდესი). ფოთის საბჭოთა მეურნეობის „გრეიფრუტის“ ხეებმა კარგად შეინარჩუნეს ნაყოფი. ბევრი მათგანის ნაყოფი უკვე თხილისოდენაა.

განზრახულია 10 ივლისს გამოიანგარიშონ გრეიფრუტის ნაყოფთა საერთო რაოდენობა.

კარგად ასხიათ ანანასებსაც, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის სპეციალურ სათბურებშია. ამჟამად არის ანანასის 200 ნაყოფი. ნახევარი თვის შემდეგ შესაძლებელი იქნება ათი მწიფე ანანასის მოკრეფა.

◇

შემთხვევები

# ავტომობილის კატასტროფა. 4 ივლისს, კოჯრის გზატკეცილზე, თბილისიდან მე-11 კილომეტრის მანძილზე, ავარია განიცადა „საქავტოტრესტის“ მსუბუქმა ავტომანქანამ № 19-21. მანქანა კოჯრიდან თბილისში მოდიოდა. მას შოფერი ი. მ. ჭავჭავაძე მართავდა. შოფერმა დაუშვებელი სისწრაფე განავითარა, მოსახვევში მანქანა თხრილში ჩავარდა.

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდნენ თვით შოფერი და ორი მგზავრი ა. არჩუაძე (პისარევის ქ., № 11) და მ. ნ. ციხიკარიშვილი (ცეტკინის ქ., № 56). ორი დანარჩენი მგზავრი — ე. მ. ტოროშელიძე და ლ. ა. ლეონიძე უვნებლად გადარჩნენ. სწარმოებს გამოძიება.

# ჩხუბი რესტორანში: 3 ივლისს, საღამოს, არტელ „ნატანების“ სასადილოში (ორჯონიკიძის ქ., № 8) ქეიფობდნენ ა. ი. შარაბიძე (მე-2 თუმანოვის შეს., № 25) და მ. ნ. კლიანოვი (ნორიოს ქ., № 15). ორივე მთვრალი იყო და ჩხუბი აუტეხეს ამ დროს სასადილოში მყოფ მოქალაქეებს ვ. ციხითათრიშვილს (ჩახრუხაძის ჩიხი, № 2) და დ. მგალობლიშვილს (სოფ. გლდანი). შარაბიძემ სასადილო დანით დასჭრა მოქ. ციხითათრიშვი, რის შემდეგაც ორივე ხულიგანი მიიმალა, მაგრამ ისანი მალე შეიპყრეს. დაშავებულს საექიმო დახმარება აღმოუჩინეს. შარაბიძე და კლიანოვი მიცემული არიან პასუხისგებაში.

# გაუფრთხილებლობის მსხვერპლი: 4 ივლისს შაუმიანის ქუჩაზე, უცნობი მოქალაქე, ასე 30-35 წლისა, მიმავალ ტრამვაიზე შეხტომის ცდის დროს მოჰყვა ვაგონის ქვეშ და იქვე გაისრისა. გვამი მოთავსებულია პროზექტურაში. მოკლულის ვინაობას არკვევენ.

კოლმეურნე პოეტებისა და მოლექსეების შეკრება დუშეთში

4 ივლისს დუშეთში შედგა დუშეთის რაიონის კოლმეურნე პოეტებისა და მოლექსეების რაიონული შეკრება. შეკრებას დაესწრო საქართველოს მწერალთა კავშირის წარმომადგენელი პოეტი ვ. გორგაძე.

ამ შეკრების მოწვევასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირმა გადასწყვიტა დუშეთში მოაწყოს დამწყებ პოეტთა წრე, რომელსაც მიჩენილი ეყოლება ერთი ხელმძღვანელი.

დუშეთის რაიონულმა ალმასკომმა გადასწყვიტა გამოსცეს ფშავ-ხევსურეთის ხალხური მწერლებისა და მოლექსეების ნაწარმოებთა კრებული.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

8 ივლისს:

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა აღდგენითი პერიოდის დასასრულს (1924—1925 წლ.). ქართულ ენაზე. კონსულტანტი ადამია. დასაწყისი საღ. 8 ს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპი. დასაწყ. საღ. 8 ს.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: სსრ კავშირის კაპიტალისტური გარემოცვა და კლასობრივი ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე. ქართულ ენაზე. დასაწყ. საღ. 8 ს. კონსულტანტი ამხ. თოფურია.

○

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში, 8 ივლისს, საღ. 7 ს. შესდგება მოხსენება აგიტატორთათვის რუსულ ენაზე. მოხსენების თემა: „რაშია რელიგიის მავნებლობა“. მომხსენებელი ამხ. მალცევი.

პასუხისმგებელი რედაქტორი გრ. მუშიშვილი

დღეს საკინოთეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ახალი ხმოვანი სურათი **მეოთხე ესკადრონი**
დამკვრელი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი ქართულ ენაზე **„არსენა“** რეჟისორი—ორდენოსანი მ. ჭიაურელი.
26 კომუნ. სახელობის საზამთ. 6-30, საზაფხ. 9	
რ. ლუქსემბურგის სახ. 6-30, 8-30, 10-30	
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი რუსულ ენაზე **არსენა**
კომინტერნი 9, 11	ხმოვანი ფილმი **მაქსიმეს სიჭაბუკე**
არსენა (კიროვის სახ. რაიონი)	ხმოვანი ფილმი **ალმასი**
ახალი ამბები 6-30	**გმირთა გაფრენა** — ხმოვანი ჟურნალი, მიძღვნილი ძირსდაუშვებელი გადაფრენისადმი მოსკოვი—ჩრდილოეთის პოლუსი—ჩრდილოეთი ამერიკა.

ლ. გავაშელი

ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლისათვის

ქართული ხალხური სიმღერები სამნაირია: ერთხმოვანი — ეს აღმოსავლეთიდან შემოტანილი ელემენტია, ქართველი ხალხის მიერ ორიგინალურად გადამუშავებული; ამას უფრო მღეროდნენ ფუფუნებას შეჩვეულნი. მშრომელი ხალხის მყვლეფელი ფეოდალები, რომელნიც უმთავრესად ერთპიროვნულ განცდებს ეძლეოდნენ; არა გლეხური წარმოშობის სიმღერების წმინდა ნიმუშია: „ორთავ თვალის სინათლევ“ და „ბუნდოვან გულს შენ აღმიჩნდი“. ეს სიმღერები, როგორც თავიანთი ტონალური განლაგებით, ისე რომანტიკით განირჩევიან წმინდა ქართულისაგან. მათი ქართული ელფერი კი იმაშია, რომ ისინი ჩვენში იმღერებიან სამ ხმაზე, ისე, როგორც ყველა სხვა წმინდა ქართული წარმოშობის სიმღერები.

თუ ერთხმოვანი სიმღერა შემოტანილი ელემენტია, ორხმოვან ქართულ სიმღერებს ძლიერ იშვიათად ვხვდებით. ნამდვილად ქართული სიმღერა სამხმოვანი და ოთხხმოვანია. აიღეთ მაგალითისათვის გურული, აჭარული სიმღერები „იერიში“ და „ვახტანგური“; ისინი იქმნებოდნენ კოლექტიურად. „ნადური“, „მაყრული“, „ლაშქრული“, „მრავალჟამიერ“ და სხვანი შრომისა და ლხინის პროცესშია კოლექტიურად შექმნილი. მთელი კოლექტივიდან მათ ერთი როდი მღეროდა, ეს არაბუნებრივი ამბავი იქნებოდა. აქ ყველა მღერის, რათა რიტმზე შრომა შეუმჩნეველი და ნაყოფიერი იყოს. მთელი თავისებურება ჩვენი ხალხური სიმღერებისა იმაში გამოიხატება, რომ აღმოსავლელ ერთა შორის მხოლოდ ქართულ სიმღერას ახასიათებს სამხმოვანობა.

საქართველოს მრავალფეროვანმა, წარმტაცმა ბუნებამ უმთავრესად თავი იჩინა მრავალკილოიან ხალხურ სიმღერა-გალობაში. თუ დავაკვირდებით ქართლურ, იმერულ, გურულ, მეგრულ, რაჭულ, სვანურ, აფხაზურ და სხვა კილოებს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ მათი აღებულება ერთი ოჯახისაა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქართული მუსიკა ორიგინალურია, თვითნაჩენი. მეცხრამეტე საუკუნემდე საქართველო უფრო აზიის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იყო. თითქოს ქართულ მუსიკასაც რაიმე საერთო უნდა ჰქონოდა ირანულ და თურქულ მუსიკასთან, მაგრამ მათ შორის იმდენი განსხვავებაა, რომ მათი შედარება შეუძლებელია. აღმოსავლური სიმღერა მხოლოდ ერთხმოვანია, ქართული კი სამხმოვანი და მდიდარი მოძრაობისა. ამასთანავე ქართული მუსიკა არც ევროპულს წააგავს თავისი მელოდიური წყობით და საერთო ტონალური განლაგებით.

მდიდარი ქართული ხალხური სიმღერები ორიგინალურია და დამოუკიდებლად განვითარებული. ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში, როგორც პროფ. ი. ჯავახიშვილის გამოკვლევებიდან ჩანს, ანტიოქიის პატრიარქის დელეგაციას სიონში მოუსმენია მრავალხმოვანი გალობა და ამ ამბით იგი გაოცებულა. ქართული ხალხური სიმღერების პოლიფონიურობას ამტკიცებს აგრეთვე თამარ მეფის სადიდებლად შეთხზული სიმღერები, რაც სუფთად არის დაცული და შენახული ამჟამად ზემო-რაჭაში.

მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე, ე. ი. ვიდრე მონარქისტული რუსეთი და მის მიერ მოწვეული იტალიური ოპერა მოიკიდებდნენ ფეხს, ქართული მუსიკის ფორმა და წყობა სუფთა ორიგინალური სახით იყო შენახული. მონარქისტული რუსეთი ცდილობდა ქართველი ხალხისთვის მშობლიური ჰანგები დაევიწყებინა და დაიწყო ქართული ხალხური მუსიკის დევნა. მას ველურ კილოს უწოდებდნენ. ამავე დროს ქალაქისა და სოფლის სკოლებში ნერგავდნენ სლავურ მუსიკას.

როგორც ცნობილი მუსიკოსი ია კარგარეთელი ამბობს, 90-იან წლებში ა.-კ. სასწავლო ოლქის მზრუნველს, ცნობილ რუსიფიკატორ იანოვსკის მისთვის წინადადება მიუცია დაეწერა ქართული სიტყვები სიმღერების სახელმძღვანელოზე, რომელსაც სამინისტრო სკოლებისათვის ბეჭდავდნენ და რომელიც რუსული მელოდიებისაგან შესდგებოდა. ამგვარი საშუალებით იდევნებოდა ქართული მუსიკა.

ამას ადასტურებს თვით კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვის მოგონებებიც. ის ამბობს, რომ ქართული ხალხური სიმღერების ჩაწერის დროს მან შენიშნა, თუ როგორ ამღერებდა ერთი ახალგაზრდა მესაზანდრე იტალიურ ჰანგებს ოპერა „ტრავიატადან“. აქედან ნათელია, თუ რა გავლენას იქონიებდა ქართულ ხალხურ სიმღერათა წყობაზე უცხოეთის მელოდიები. მეფის უხეშმა, გამარუსებელმა პოლიტიკამ ხომ ისე შეატრიალა ჩვენი ისტორიული მიმდინარეობა, რომ საკუთარ მუსიკალურ ყოფას მოგვწყვიტა. ქართველი თავადაზნაურობა და იმდროინდელი არისტოკრატია, ჩინ-ორდენებით მოხიბლული, თვით უწყობდა ხელს თავისი ქვეყნის ხალხური მუსიკალური შემოქმედების მივიწყებას.

ძველი სიმღერები, რომლებიც უთუოდ დაწერილია ქართული ორიგინალური სამუსიკო ნიშნებით, უგზოუკვლოდ იკარგებოდა იმიტომ, რომ მოხუცებულნი, რომლებიც ტრადიციით მღეროდნენ ამ სიმღერებს, იხოცებოდნენ. ძველი ქართული ხალხური სიმღერების, ძილისპირების, მრავალი სხვა საერო და საეკლესიო საგალობლის კარგი მცოდნენი რაჟდენ ხუნდაძე, დავით დუმბაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, დიტო ჭალაგანიძე სულ ახლო წარსულში გარდაიცვალნენ. მათ შემუშავებული ჰქონდათ თავიანთი სისტემა ნოტებისა, რომლის მიხედვით ასწავლიდნენ გალობას სასულიერო სასწავლებლებში.

IX-X საუკუნის ქართული სამუსიკო ნიშნების გასაღების მონახვაზე დიდი შრომა აქვთ გაწეული, როგორც ქართველ ისტორიკოსებს, ისე მუსიკოსებს, მაგრამ ამაოდ. მისი მოძებნა შესაძლო იქნებოდა, რომ ამ საქმეს წარსულში გულშემატკივარი მზრუნველი ჰყოლოდა, მეფის რუსეთისათვის კი უცხო იყო ზრუნვა ქართული ხალხური სიმღერების შეკრებაზე. ამ ნიშნების პოვნა შეიძლებოდა თვით ხალხში, იმ ღრმად მოხუცი სახალხო მომღერლების საშუალებით, რომელთაც ძველი ქართული სიმღერები შეთვისებული ჰქონდათ ტრადიციებით. ამჟამადაც მოიპოვებიან თითო-ოროლა მოხუცნი, განსაკუთრებით სასულიერო წრიდან, რომელთაც ახსოვთ და იციან ძველი ხალხური, ბანით საგალობელი სიმღერები. ჩვენის აზრით, კიდევ არ არის გვიან ამ საგალობლების შეკრება, ჩაწერა და ქართულ სამუსიკო ნიშნებთან შედარება, რათა ამ გზით იქნას ნაპოვნი ქართული სამუსიკო ნიშნების გასაღები.

ევროპული მუსიკის მძლავრმა ნაკადმა ქართულ სიმღერებს საგრძნობლად დაუკარგა ეროვნული თავისებურება. განსაკუთრებით ეს ემჩნევა აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებს. დასავლეთ საქართველოში კი თითქმის დღესაც ხელუხლებელია ხალხური სიმღერები და მათზე მუშაობის საშუალებით, ვფიქრობ, ახსნილი იქნება ქართული სამუსიკო ნიშნების საიდუმლოება. მაგრამ ეს ისტორიული ხასიათის სამუშაო დიდ მეცნიერულ დაკვირვებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით ია კარგარეთლის აზრი უნივერსიტეტთან სპეციალური კათედრის დაარსებისა სწორია და უთუოდ ნაყოფსაც გამოიღებს. ჯერ კიდევ 1918 წელს ია კარგარეთლის ინიციატივით მუსიკოსთა ერთმა ჯგუფმა აღძრა შუამდგომლობა, რათა უნივერსიტეტთან დაარსებულიყო ქართული მუსიკის ისტორიის კათედრა. ეს საკითხი უნივერსიტეტის პროფესურამ განხილულ იქნა, უნივერსიტეტი ამ შუამდგომლობას დიდის თანაგრძნობით შეხვდა. მაგრამ ამ დაწყებულმა დიდი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის საქმემ ვერ ჰპოვა გამოხმაურება მენშევიკური მთავრობის მხრით.

დღეს, როდესაც ქართულ მუსიკას ფართო გასაქანი ეძლევა და მისი ლამაზი მელოდიებით იხიბლება კულტურული კაცობრიობა, ხელოვნების საქმეთა კომიტეტში დასმული საკითხი ქართული მუსიკის ისტორიის შესწავლისათვის მეცნიერული მუშაობის გაშლის შესახებ დროულად მიგვაჩნია. დარწმუნებული ვართ, საბჭოთა ხელისუფლება, ისე როგორც მეცნიერების ყველა სხვა დარგს, ამასაც გამოეხმაურება და დაუღალავი და მეცნიერული მუშაობის პროცესში ფარდას ახდის ქართული სამუსიკო ნიშნების საიდუმლოებას.

◆

თანახმად საქ. ჯანსახკომთან არსებული „სოც. პატრონაჟი“-ს რესპუბლიკანური კომისიის დადგენილებისა № 61 14/V თარიღით ხდება სამოსწავლო წარმოებათა კომბინატის სატყეო კანტორის და მასში შემავალ ობიექტების **ლიკვიდაცია.**

ყველა დაწესებულება, ორგანიზაციებს და პირთ წინადადება ეძლევა წარმოუდგინოს თავისი პრეტენზიები, ვისაც ასეთები აქვს, სატყეო კანტორის სალიკვიდაციო კომისიას არა უგვიანეს 15 დღისა დღეის რიცხვიდან შემდეგი მისამართით: თბილისი, საბჭოს ქ. № 65 ლიკვიდკომის სახელზე.

აღნიშნული ვადის შემდეგ პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

70 **ლიკვიდკომი.**

საქკოოპინკავშირის სისტემაში შემავალ არტელ „უზრუნველყოფის“ დასკვნითი

ბალანსი 1937 წ. 1-ლი იანვრისათვის.

აქტივი				პასივი			
№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ნაშთი		№№ რიგ.	მუხლების დასახელება	ნაშთი	
		მანეთი	კაპ.			მანეთი	კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	49.058	98	1	ფონდები	87.746	31
2	ნედლეული და მასალები	5.127	25	2	რეზერვები მიზნობრივი	7.231	57
3	მზა ნაწარმი და საქონელი	116.489	71	3	სარეგულაციო ფონდი	15.338	63
4	ფულადი საშუალებანი	20.497	16	4	მოკლევადიანი სესხი	30.000	—
5	მომავალი დროის ხარჯები	12.462	46	5	ანგარიშსწორებანი	58.741	97
6	ანგარიშსწორებანი	28.993	89	6	დაგროვება საანგარიშო წლისა	56.210	92
7	განყენებული საშუალებანი	22.639	95				
	ბალანსი	255.269	40		ბალანსი	255.269	40

ანგარიში 1936 წ. დაგროვება-დანაკარგებისა.

№№ რიგ.	ხარჯების დასახელება	ნაშთი		№№ რიგ.	შემოსავალი და დაგროვებანი	ნაშთი	
		მანეთი	კაპ.			მანეთი	კაპ.
1	სხვადასხვა ხარჯები და დანაკარგები	18.347	59	1	მზა ნაწარმის რეალიზაციიდან	11.565	74
2	დაგროვება	56.210	92	2	საქონლის რეალიზაციიდან	58.662	99
				3	სხვადასხვა შემოსავალი	4.329	78
	სულ	74.558	51		სულ	74.558	51

დამტკიცებულია საქ. კოოპინკავშირის საბალანსო კომისიის მიერ 1937 წ., ოქმი 41 და კიროვის რაიფინგანის საბალანსო კომისიის მიერ ოქმი № 7, 12/III-37 წ.

გამგეობის თავმჯდომარე **ვარდია.**

მთავ. ბუხჰალტერი **გრიგორაშვილი.** 1614

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის —3—57—61, სასოფლო-სამეურნეო —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ/მგ. მორიგის —3—26—67, გამომცემლობის —3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—8272